პროლეტარიანებო ყველა ძმეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 62 (19504) ◆ სამშაბათი, 11 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეკვეთრი გარდატეხის მიჯნაზე

1986 წლის 25 თებერვალს — 6 მარტს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVII ყრილობა. ყრილობა მოეწყო ქვეყნის, მთლიანად თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრებაში დიდი გადატეხის მიჯნაზე. ყრილობა ისტორიული, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა.

ყრილობამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად აგრძელებს დიდი ტექტმბრის საქმეს, მტკიცედ ადგას ლენინურ კურსს, ერთგულად ასრულებს შუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის პოლიტიკური ბელადის როლს.

ყრილობამ ცხადყო, რომ პარტიას შეუძლია მაქსიმალურად გაითვალისწინოს წარსული გაკვეთილები, ფაქიზად, ლენინურად გაიაზროს ახლანდელი დრო, შეუშაოს რეალისტური, ყოველმხრივ აწონ-დაწონილი პოლიტიკური პროგრამა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება სტრატეგიული, ყრილობის მიერ დამტკიცებული პარტიის კურსია.

ყრილობამ ცხადყო, რომ ამ პროგრამის შესრულებაში, დაჩქარების საქმის წარმატებაში გადამწყვეტია ადამიანის ფაქტორი და მისი გააქტიურება შეიძლება მხოლოდ კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიის, ძლიერი სოციალური პოლიტიკისა და მიზანდასახული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, მათი გაერთიანებული ერთობლივის მეშვეობით.

ყრილობამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალური პროგრესისა და მშვიდობის პარტიაა, რომ მისთვის არა არის რა იმაზე მაღალი მიზანი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება ქვეყნად, თერმობირთვული კატასტროფის თავიდან აცილება.

ყრილობამ ჩაიარა პარტიული პრინციპულობისა და ერთიანობის, მომთხოვნელობისა და ბოლშევიკური სიმართლის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოაშკარავების, ჩვენი საზოგადოების განვითარების საშინაო და საგარეო პირობების ღრმა ანალიზის ვითარებაში.

ყოველივე ეს მტკიცედ არის შედეგებებული პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. მოხსენებაში ხორცშესხმულია პარტიის თეორიული სიბრძნე, მისი პოლიტიკური რეალიზმი და მომაელვლისადმი სწრაფვა, რომლებიც გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციით; ნუხდუბით განსახიერებული მისი ორგანიზაციული ფორმების ურყევი სიმტკიცე, სიზუსტე და მოქნილობა; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა ნუსტი პრაქტიკული მიმართულება, კონკრეტულობა, გარკვეულობა დროსა და სივრცეში .

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში დასტულია თანამედროვე მსოფლიოს, მისი ძირითადი ტენდენციებისა და ნინააღმდეგობების მთამბეჭდავი, მასშტაბური სურათი. ყოველმხრივ არის გაანალიზებული საბჭოთა საზოგადოების მდგომარეობა, მისი წარმატებები და სიძნელეები და მკაფიოდ არის მოხაზული პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის, ჩვენი საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის ძირითადი მიმართულები. დასახულია მისი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნები და განსაზღვრულია მიმართულებანი. შეჯამებულია. პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და ნუხდების ეფექტებთა განხილვის შედეგები. გამოთქმულია სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმის წარმატების, კაცობრიობის ნათელი მომავლის რწმენა.

სკკპ მესამე პროგრამის მიღების შემდეგ განვლილ მეოთხედ საუკუნეში ხალხის უდიდესი მეცადინეობის მეოხებით საბჭოთა კავშირმა მთამბეჭდავი წარმატებანი მოიპოვა, ნათქვამია პოლიტიკურ მოხსენებაში. ერთიანული შემოსავალი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, სამრეწველო წარმოება — 5-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო წარმოება — 1,7-ჯერ. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გადიდდა 2,6-ჯერ, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები — 5-ჯერ და მეტად. აშენდა 54 მილიონი ბინა. განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. ოთხჯერ გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები დამთავრეს. საყოველთაოდ არის აღიარებული შეენერების, მედიცინის, კულტურის წარმატებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ღირსეულად აფასებს მიღწეულს, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, და თავის მოვალეობად მიაჩნია ალაღმართლად და დაუფარავად მოახსენოს პარტიასა და ხალხს ჩვენი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობის ხარვეზები, ეკონომიკასა და სოციალურ-სულიერ სფეროში არსებული უკეთური ტენდენციები, ასევი მოვლენების მიზეზები. უწინარესად, სუბიექტური რიგის მიზეზების გამო, ოოა ქვეყნის განვითარებაში პრობლემები უფრო სწრაფად გროვდებოდა, ვიდრე იჭრებოდა. ინერტულობა, მართვა-გამგეობის ფორმებისა და მეთოდების ბანვეება, შუამობაში დინამიზმის შენელება, ბიუროკრატიზმის ზრდა — ყოველივე ეს დიდ შიანს აყენებდა საქმეს. საზოგადოების ცხოვრებაში თანდათან იჩინა თავი უძრაობის მოელენებმა.

პარტიის წინაშე დადგა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: შეემუშავებინა პრინციპულად ახალი სტრატეგიული კურსი. ეს კურსი — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი— დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე. მას ფართოდ დაუჭირეს მხარი პარტიამ, მთელმა ხალხმა. დაჩქარების კონცეფცია ნიადაგ ზოლად გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, ყრილობის სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, მისი დელეგატების გამოსვლებს.

დაჩქარება, აღნიშნულია მოხსენებაში, უწინარეს ყოვლისა, „არის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება. მაგრამ არა მარტო ეს. მისი არსია თვისებრივად ახალი ზრდა: წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის ტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე“. დაჩქარების კურსი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრულ დამკვიდრებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების შუმაობის ფორმებისა და მეთოდების განსრულებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინერციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის — ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს.

მთავარი, რამაც უნდა უზრუნველყოს დაჩქარების საქმის წარმატება, — ეს არის მასების ცოცხალი შემოქმედება, სოციალისტური ყოობლების უდიდესი შესაძლებლობებისა და უპირატესობების მაქსიმალური გამოყენება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ყველა ჩვენი პრობლემის — როგორც უანლესი, ისე პერსპექტიული, ეკონომიკური და სოციალური, საშინაო-პოლიტიკური და საგარეო პრობლემების გადაწყვეტის გზაა. თუ წარმატებით განვახორციელებთ ამ კურსს, მივაღწევთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ მთავარ მიჯნებს, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციითა და ძირითადი მიმართულებებით.

მიჯნები კი გრანდიოზული, შთამბეჭდავია. საუკუნის დამლევისათვის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება თითქმის ერთიორად, ამასთან გაორკეცდება საწარმოო პოტენციალი და იგი თვისებრივად გარდაქმნება, შრომის ნაყოფიერება გადიდდება 2,3-2,5-ჯერ, ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა შემცირდება 1,4-ჯერ და ლითონტევადობა — თითქმის ორჯერ. ეს მოასწავებს მკვეთრ შემობრუნებას წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ, ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისაკენ.

წარმოების ინტენსიფიკაციის მთავარი საშუალებაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საზოგადოების საწარმოო ძალების ძირეული გარდაქმნა. ამასთან საქმე ეხება სასაღლო მეურნეობის ღრმა რეკონსტრუქციას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე, წინ გაჯრას მისი ავანგარდული მიმართულებებით, სამეურნეო მექანიზმის, მართვის სისტემის გარდაქმნას.

ამ მიზნით გათვალისწინებულია შევცვალოთ სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკა, ესე იგი ეურადღების ცენტრი რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გადავიტანოთ ხარისხსა და ეფექტიანობაზე, შეალედურიდან — საბოლოო შედეგებზე, საწარმოო ფონდების გაფართოებიდან — მათ განახლებაზე, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ზრდიდან —მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე, მეცნიერებატევადი დარგების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დაჩქარებულ განვითარებაზე. საკმარისია ითქვას, რომ მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია წარმოების რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას მოუახმაროთ 200 მილიარდ მანეთზე მეტი, რაც წინა ათი წლის მაჩვენებელს აღემატება.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელიც არსებითად მისი მოდერნიზაციის პროგრამაა. საბობ-ენერგეტიული კომპლექსის ძირეული რეკონსტრუქციის იდეით გამსჭვალულია ენერგეტიკული პროგრამა.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მეტალურგიასა და ქიმიურ ინდუსტრიაში, წარმოების ელექტრონიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში. პრიორიტეტულად განვითარდება მსუბუქი და მრეწველობის სხვა დარგები, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის შუშაობენ.

ტექნიკურ რეკონსტრუქციას ვერ განვახორციელებთ, თუ ძირეულად არ გავაუმჯობესეთ კაპიტალური მშენებლობა, რაც მოითხოვს იმას, რომ ახალ ინდუსტრიულ და ორგანიზაციულ დონეზე ავიყვანოთ მთელი სამშენებლო კომპლექსი, პრაქტიკულად ორჯერ შევამციროთ საინვესტიციო ციკლი პროექტიდან ამოძლავრეთა სრულ ათვისებამდე.

რეკონსტრუქციის საჭიროება ახალ ამოცანებს უყენებს მეცნიერებას. უფრო ენერგიულად უნდა განვითარდეს მეცნიერების შემობრუნება სახალხო მეურნეობის საჭიროებებისაკენ. ნაკლებად მნიშვნელოვანი როდი ისიც, რომ წარმოება შებრუნდეს მეცნიერებისაკენ, მაქსიმალურად ითვისებდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

უპირველესი ამოცანაა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა. აქ ნინსვლა იგრძნობა, მაგრამ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევა მაინც ყოვნდება. გვჭირდება მტკიცე გარდატეხა, რათა უკვე მეთორმეტე ხუთწლედში შესამჩნევად გავაუმჯობესოთ სურსათით მოსახლეობის მომარაგება. ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ ეს მოვიმოქმედოთ. ამ მიზნით უნდა შეექმნათ პროდუქციის გარანტირებული წარმოების პირობები. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება მიწაზე ნაყოფიერების გადიდებას, ინტენსიური ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას. სასურსათო ფონდის შევსების უახლოესი წყაროა მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გადამუშავების დროს.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი ორგანოების შექმნას. ახლა ამოცანა ის არის, რომ ეს ორგანიზაციული სტრუქტურა განვამტკიცოთ ქმედითი სამეურნეო მექანიზმით. საჭიროა ფართო ასპარეზი მივცეთ მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობა, მათი დაინტერესება და პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის.

აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავაც თანამიმდევრულად განვითარდება, მაგრამ პროგრესის მთავარი მამოძრავებელი, მისი სული და გული იყო და არის ადამიანი. მუდმივი ზრუნვა სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის წარმატებათა ყველაზე მტკიცე გარანტიაა.

წარმატებით რომ გადავწყვიტოთ ეკონომიკის ახალი ამოცანები, ღრმად უნდა გარდავქმნათ სამეურნეო მექანიზმი, შევქმნათ მართვის მოლიანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად შევასხათ ხორცი სოციალიზმის შესაძლებლობებს.

სამეურნეო მართვას, ნათქვამია ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, მუდმივი სრულყოფა ესაჭიროება. მაგრამ ახლა სიტუაცია ისეთია, რომ ნაწილობრივ გაუმჯობესებას ვერ დაეჯერდებით — საჭიროა რადიკალური რეფორმა. მისი არსი ის არის, რომ საქმით დავუქვემდებაროთ მთელი ჩვენი წარმოება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, ადამიანთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, მართვას მიზნად დავუსახოთ ეფექტიანობისა და ხარისხის გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის შედეგებით მუშაკთა დაინტერესების, სახალხო მეურნეობის თითოეულ რგოლში და, უწინარეს ყოვლისა, შრომითს კოლექტივებში ინიციატივისა და სოციალისტური ვერგილიანობის განვითარება.

მართვის, ისევე როგორც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემის სრულყოფის უმაღლესი კრიტერიუმი უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარება, სოციალიზმის საქმით განმტკიცება.

პარტიის მიერ შემუშავებული ღრმა გარდაქმნების სტრატეგიის განხორციელება დიდ დროს მოითხოვს. მაგრამ ზრდის ტემპის დაჩქარებას დღესვე უნდა შევეწიოთ. აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ მაქსიმალურად ავამოქმედოთ ყველა ჩვენი რეზერვი — ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, უკეთ გამოვიყენოთ არსებული საწარმოო პოტენციალი, გავზარდოთ შრომის სტიმულირების ქმედითობა, განვამტკიცოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა, დავძლიოთ უყაირათობა. უნდა განვამტკიცოთ კოოპერირებულ მიწოდებათა დისციპლინა, დავძლიოთ ნაკლოვანებანი ნაკლოვანებანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად შევასხათ ხორცი სოციალიზმის შესაძლებლობებს.

სამეურნეო მართვას, ნათქვამია ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, მუდმივი სრულყოფა ესაჭიროება. მაგრამ ახლა სიტუაცია ისეთია, რომ ნაწილობრივ გაუმჯობესებას ვერ დაეჯერდებით — საჭიროა რადიკალური რეფორმა. მისი არსი ის არის, რომ საქმით დავუქვემდებაროთ მთელი ჩვენი წარმოება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, ადამიანთა საჭიროებების დაკმაყოფილებას, მართვას მიზნად დავუსახოთ ეფექტიანობისა და ხარისხის გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის შედეგებით მუშაკთა დაინტერესების, სახალხო მეურნეობის თითოეულ რგოლში და, უწინარეს ყოვლისა, შრომითს კოლექტივებში ინიციატივისა და სოციალისტური ვერგილიანობის განვითარება.

მართვის, ისევე როგორც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემის სრულყოფის უმაღლესი კრიტერიუმი უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარება, სოციალიზმის საქმით განმტკიცება.

პარტიის მიერ შემუშავებული ღრმა გარდაქმნების სტრატეგიის განხორციელება დიდ დროს მოითხოვს. მაგრამ ზრდის ტემპის დაჩქარებას დღესვე უნდა შევეწიოთ. აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ მაქსიმალურად ავამოქმედოთ ყველა ჩვენი რეზერვი — ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, უკეთ გამოვიყენოთ არსებული საწარმოო პოტენციალი, გავზარდოთ შრომის სტიმულირების ქმედითობა, განვამტკიცოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა, დავძლიოთ უყაირათობა. უნდა განვამტკიცოთ კოოპერირებულ მიწოდებათა დისციპლინა, დავძლიოთ ნაკლოვანებანი ნაკლოვანებანი, ეფექტიანი და მოქნილი სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად შევასხათ ხორცი სოციალიზმის შესაძლებლობებს.

ПРАВДА

10 მარტის მოწინავე

ღრმად გარდაიქმნება შრომა, მისი შინაარსი. გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად შემცირდება საწარმოო სფეროში ხელისა და ნაკლებ კვალიფიციური შრომის წილი.

პარტია სახავს ამოცანას შეიქმნას უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემა. ამ მიზნით თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა, ძირეულად გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის; გარდავქმნათ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება; სრულყოთ სპეციალისტების მომზადება და გამოყენება, გავაუმჯობესოთ მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემა.

საჭირო კარდინალური ღონისძიებანი, რათა გავაუმჯობესოთ ჯანმრთელობის დაცვა, განვავითაროთ მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი, ტურიზმი. უზრუნველყოთ ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შინაარსიანი დასვენება. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის.

თანამედროვე პირობებში მწვავედ დგება ბუნების დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური გამოყენების ამოცანა. სოციალიზმს, რომელსაც ახასიათებს წარმოების გეგმიანი ორგანიზაცია და ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, შეუძლია გადაჭრას და კიდეც უნდა გადაჭრას ეს პრობლემა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ქვაკუთხედია მუშათა კლასის ნამყვანი როლის უზრუნველყოფა, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის კავშირის განმტკიცება.

პარტია კვლავაც განუხრელად გააძლიერებს ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმურ მეგობრობას, აღზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, პრინციპულად იბრძოლებს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, კუთხურობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

პარტიის თვალთახედვის არეშია ოჯახის განმტკიცება, შვილების აღზრდისათვის მშობლთა პასუხისმგებლობის გადიდება, ქალების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

პარტიის მიერ შემუშავებული სოციალური პოლიტიკა, აღნიშნულია პოლიტიკურ მოხსენებაში, მრავალმხრივია და მისი განხორციელება სავსებით შესაძლებელია. სოციალურ სფეროსაკენ მტკიცე შემობრუნებას რომ მივაღწევთ, მაშინ მრავალი დღევანდელი და ხვალინდელი პრობლემებიც უფრო სწრაფად და ეფექტიანად გადაწყდება, ვიდრე დღემდე წყდებოდა.

სოციალისტური წყობილება წარმატებით ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა თავად ხალხი რეალურად მართავს თავის საქმეებს, როცა მილიონობით ადამიანი მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ეს არის მშრომელთა თვითმმართველობა ამ სიტყვის ლენინური გაგებით, იგი საბჭოთა ხელისუფლების არსია. თვითმმართველობითი საწყისები ვითარდება ჩვენი სახელმწიფოებრიობის შიგნით, და არა მის გარეთ, ამასთან სულ უფრო ღრმად აღწევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში, ამდიდრებს დემოკრატიული ცენტრალიზმის შინაარსს, ამტკიცებს მის სოციალისტურ ბუნებას.

ყრილობამ ხაზი გაუსვა იმის დიდ მნიშვნელობას, რომ სულ უფრო საქმიანი და თანამიმდევრული ნდებოდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების საქმიანობა კანონმდებლობის განვითარების, საანგარიშმგებლო ორგანოების შუშაობისადმი კონტროლის განხორციელების, ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის მიზნით, რათა უფრო გადაჭრით მაღლდებოდეს და უმჯობესდებოდეს ადგილობრივი საბჭოების შუშაობა, რათა დარაზმონ მასები ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, გადაწყვიტონ მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების საკითხები. საბჭოების აღმასკომების, სხვა სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას უწყვებრიობისა და კუთხურობის, უყაირათობისა და ბიუროკრატიზმის, ადამიანებისადმი გულგრილი და უსულგულო დამოკიდებულების გამოვლინებანი.

კვლავაც გაიზრდება პროფკავშირებისა და კომკავშირის, შემოქმედებითი კავშირებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ქალთა ორგანიზაციების როლი სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში. პარტიის განსაკუთრებული ყურადღების საგანია უმუალო დემოკრატიის ყველა ფორმის გამოყენება და უწინარეს ყოვლისა შრომითს კოლექტივებში, ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვისა და კენჭისყრის პრაქტიკის სრულყოფა. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო და სხვა ორგანოების საქმიანობაში საჯაროობის გაფართოებას, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გადიდებას.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განუწყვეტელ განმტკიცებას, კანონების უმკაცრეს დაცვას, საბჭოთა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების განმტკიცებას.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი ზრახვების გაძლიერების პირობებში მატულობს სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა პასუხისმგებლობა.

კვლავ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ყოველმხრივი გაძლიერება, არმიისა და ფლოტის მეომრების, ყველა საბჭოთა ადამიანის აღზრდა სიფხიზლისა და სოციალიზმის დიადი მონაპოვრების დაცვისადმი მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით, შეიარაღებული ძალების იმ დონის უზრუნველყოფა, რომელიც გამორიცხავს იმპერიალიზმის ძალების სტრატეგიულ უპირატესობას.

პარტიის თანამედროვე კურსი, დაჩქარების სტრატეგია უაღრესად ხელშემწყობ შესაძლებლობებს უქმნიან იდეოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობის შემდგომ გადიდებას, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სუსტად გამოიყენება. ამოცანა ის არის, რომ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მისი ფორმები და მეთოდები შეეუსაბამოთ სამნისა და საერთაშორისო ცხოვრების რეალობებს, უზრუნველყოთ ორგანიზატორულ და სამეურნეო საქმიანობასთან მისი კავშირი.

სოციალისტური საზოგადოების სრულყოფა მით უფრო წარმატებით მოხდება, რაც უფრო აქტიური იქნება მარქსისტულ-ლენინური თეორიის როლი ცოცხალი პრაქტიკის გააზრებაში. საზოგადოებრივი კვლევის ცენტრში უნდა მოვაქციოთ ჩვენი საზოგადოების პროგრესის დაჩქარების, მის მიერ თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის ფუნდამენტური ამოცანები.

მშრომელთა აღზრდა კომუნისტური იდეურობისა და საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების, პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, შრომისადმი და საზოგადოებრივი ქონებისადმი შეგნებული დამოკიდებულების, ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა სოციალიზმისათვის, ჩვენი კულტურისათვის, შეუწყნარებლობისა და კოლექტივისტური მორალის სულისკვეთებით იდეოლოგიურ შუმაობაში მთავარი ორიენტირებია. კომუნიზმის მშენებელთა იდეურობა განუყოფელია პატიოსნებისაგან, სინდისიერებისაგან, წესიერებისაგან.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, მისი სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებაში იზრდება მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა როლი.

კულტურული მშენებლობის დარგში პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანების სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების სულ უფრო სრული დაკმაყოფილების ამოცანათა გადაწყვეტას, მათი ნიჭის რეალიზაციის, თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენების პირობების უზრუნველყოფას. დიდია ამ საქმეში ლიტერატურისა და ხელოვნების როლი. პარტია უჭერს და კვლავაც დაუჭერს მხარს აქ ყოველივე ნიჭიერს, პარტიულობისა და ხალხურობის სულისკვეთებით გამსჭვალულს.

მთელი ხელმძღვანელი კადრების მონაწილეობა, კომპლესური მიდგომა, წარმოებაში, სწავლაში და საცხოვრებელ ადგილას აღზრდის ერთიანობა — ეს მოეთხოვება იდეოლოგიური შუმაობის ორგანიზაციას.

აღზრდის საქმეში მთავარია მაქსიმალური კონკრეტულობა, ცოცხალ ადამიანთან ინდივიდუალური შუშაობა, თავდადებული შუშაკი იქნება იგი თუ ანტისოციალისტური მორალის მატარებელი.

ჩვენი საზოგადოების მასშტაბური, ახალი და რთული ამოცანები მაღალ მოთხოვნებს უყენებს პარტიის მთელ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზაციურ საქმიანობას. უპირველესი მნიშვნელობის საქმეა პარტიული შუშაობის ძირეული გარდაქმნა, ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში შემოქმედების, პრინციპული მომთხოვნელობისა და თვითკრიტიკულობის ატმოსფეროს დამკვიდრება, სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და იდეურ-აღმზრდელობითი პრობლემების ახალი ქმედითი გადაწყვეტების ძიება. ვუშოდოთ ყველაფერს თავისი სახელი, ვიმსჯელოთ ყველაფერზე გულახდილად, ობიექტურად მივაწოდოთ ინფორმაცია ზემდგომ პარტიულ ორგანოებსა და მასებს, ყველგან და ყველაფერში გამოვავლინოთ მაღალი მომთხოვნელობა და პატიოსნება — ყოველივე ეს პარტიულ შუმაობაში ურყევი წესი უნდა იყოს. ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გავაძლიეროთ ბრძოლა პარადულობის წინააღმდეგ, მივუფიფოთ იმ შუმაკებს, რომლებიც სიტყვით გარდაქმნას ქადაგებენ, მოძველებული სქემებით კი აზროვნებენ და მოქმედებენ, მტკივნეულად აღიქვამენ შენიშვნებს. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს ჯანსაღი კრიტიკის ჩახშობის, მის გამო დევნის ყოველგვარი ცდები.

მთავარია ყველგან დავამკვიდროთ შუშაობის საქმიანი და მებრძოლური სტილი, მისი მოქნილი, ეფექტიანი მეთოდები და საშუალებები.

პარტიის ფასდაუდებელი მონაპოვარია მისი კადრები. კვლავაც თანამიმდევრულად და მტკიცედ უნდა განვახორციელოთ პარტიის თანამედროვე მოთხოვნებისა და ამოცანების შესაბამისი საკადრო პოლიტიკა. კადრების დაწინაურებისა და გადაადგილებისას გადამწყვეტი კრიტერიუმები უნდა იყოს იდეურ-ზნეობრივი თვისებები, მათი რეალური საქმეები, იმის უნარი, რომ აქტიურად ახორციელებდნენ პარტიის პოლიტიკურ კურსს.

ჩვენი, XX საუკუნის სახეს განსაზღვრავს დიდი ოქტომბრით დაწყებული განმათავისუფლებელი რევოლუციები. თანამედროვე საზოგადოების პროგრესს სამართლიანად უკავშირებენ სოციალიზმს. „მსოფლიო სოციალიზმი მძლავრი საერთაშორისო წარმონაქმნია. იგი ეყრდნობა დიდად განვითარებულ ეკონომიკას, თანამედროვე მეცნიერულ ბაზას, საიმედო სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს. სოციალიზმი ნიადაგ ცხადყოფს პრინციპულად სხვავარ — კოლექტივისტურ საფუძველზე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას, მან განვითარების უფრო მაღალ მიჯნებზე გაიყვანა ამ გზით მომავალი ქვეყნები“. სოციალიზმი სულ უფრო საიმედოდ ულობავს გზას ოხისა და მილიტარიზმის, რეაქციისა და ძალადობის იდეოლოგიასა და პოლიტიკას, კაცთმოძულეობის ყველა ფორმას, აქტიურად უწყობს ხელს კაცობრიობის სოციალურ პროგრესს.

პოლიტიკურ მოხსენებაში საფუძვლიანად და ყოველმხრივ არის დასახასიათებული თანამედროვე კაპიტალიზმი, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენითა და მის ფონზე ამწვავებს კონფლიქტს განგტურად გაზრდილ საწარმოო ძალებსა და საზოგადოებრივი ურთიერთობის კერძოსაკუთრულ ხასიათს შორის. კიდევ უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი.

თანამედროვე პირობებში იმპერიალიზმი მზარდ საფრთხეს უქადის თვით კაცობრიობის არსებობას. მისი უსაზარლესი ნაშიერია მილიტარიზმი, რომელიც ისწრაფვის თავის გავლენასა და ინტერესებს დაუქვემდებაროს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი პოლიტიკური მანქანა, კონტროლს დაუმორჩილოს მისი სულიერი ცხოვრება და კულტურა. სწორედ იმპერიალიზმი ავებს პასუხს ჩვენი საუკუნის ომებისა და კონფლიქტებისათვის, გამალებული შეიარაღების განაღებისა და გაუწყვეტელი გაძლიერებისათვის

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

ახლა მთავარია ყრილობის გადაწყვეტილებები პრაქტიკულ საქმედ ვაქციოთ

ახლა იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ გავხდი მექანიზატორი, ზედმეტია. პრესაში, ტელევიზიარადიოში იმდენი ითქვა, რომ ამაზე რაიმეს თქმა მერიდება კიდეც. როგორ და რატომ ავირჩიე ეს პროფესია, არც ამაზე ლაპარაკით შევაწყენ თავს ვინმეს. მთავარი და ჩემთვის სასიხარულო და საამაყო ის არის, რომ შრომა დამიფასეს, ჯერ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, მერე კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ჩემისთანა ახალგაზრდისათვის, სიმართლე რომ ვთქვათ, ნამდვილად ძალზე დიდი პატივია მოსკოვში გატარებულ რამდენიმე კვირაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ შრომა, მხოლოდ და მხოლოდ შრომაა ყოველგვარი სიკეთის საფუძველი.

სხვანაირად ნურავინ ჩამითვლის, თუ ვიტყვი, რომ საბჭოთა კომუნისტების ყრილობაზე ამ დიდი ქვეყნის ერთ-ერთ ბატონპატრონად ვიგრძენი თავი. მე, უბრალო ტრაქტორისტი ქალიშვილი ყრილობაზე ჩვენი კომუნისტების ლიდერს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს რომ ვუსმენდი, სწორე გითხრათ, ჩემი სოფელი ნუკრიანი, ჩემი რაიონი სიღნაღი ახლო მომავალში სულ სხვანაირად წარმომიდგა.

უკანასკნელ წლებში ჩემი მშობლიური რაიონი ეკონომიკურად ერთობ გაძლიერდა, ხოლო სოფლები ისე განახლდა, რომ ამ ბოლო სამ წელიწადს იქ ვინმე თუ არ ყოფილა, ვეღარც კი იცნობს. ეს, რა თქმა უნდა, მეამაყება. მეამაყება, რომ რაიონის ყველა სოფელი კეთილმწყობილი გახდა, ხოლო მუშაკაცის შრომის საზღაური ადრინდელთან შედარებით გაორმაგდა, გასამმაგდა. ამიტომაც ბევრმა განდგომილმა ახალგაზრდამ პირი იბრუნა კოლმეურნეობისაკენ.

მაგრამ რაც ახლა უნდა ვთქვა, იმედი მაქვს ხელმძღვანელები არ მიწყენენ. ეს უფრო რესპუბლიკის სხვადასხვა დარგის, სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებს ეხებათ და თავიდანვე მინდა მათ ვთხოვო: მოდით, არწყენაზე ვიყოთ, ყრილობაზეც ხომ სიმართლის ფაქტორი იყო მთავარი.

ჯერ უშუალოდ ჩვენს, მექანიზატორების საქმიანობას რაც შეეხება, იმაზე უნდა ვილაპარაკო. ჩვენი ქვეყნის ქარხნები და საწარმოები უამრავ სასოფლო-სამეურნეო მანქანას უშვებენ. ვფიქრობ, არც სათადარიგო ნაწილების გამოშვების საქმეა ურიგოდ, მაგრამ რა, მაინც ჭირს დროზე და უნერვიულოდ, დიახ, დიახ, უნერვიულოდ, უწვალებლად მიიღონ კოლმეურნეობებმა მანქანები (სატვირთო ავტომობილები, ტრაქტორები სასუქის შესატანი და სხვა სახის), განსაკუთრებით სათადარიგო ნაწილები. ნუთუ ასე ძნელია სათადარიგო ნაწილებით ნორმალური მომარაგება? არა, არ უნდა იყოს ძნელი. არადა, ამის გამო, ე. ი. ნაწილების ძებნაში დიდი დრო იხარჯება და ნერვების წყვეტას, ხომ ნუღარ იტყვით!.. წლევანდელიდან რესპუბლიკის სახაგრომრეწვი ალბათ ამასაც მოაგვარებს.

კიდევ ერთი საკითხი: გაზეთებში ბევრი იწერება მინდვრად, გახურებული მუშაობის დროს მექანიზატორთა და მემინდვრეთა სურსათ-სანოვაგით და დეფიციტური სამრეწველო საქონლით მომარაგების შესახებ. სინამდვილეში კი ბევრგან მოსაჩვენებლად რაღაცას გააკეთებენ და ეგ არის და ეგ. ნუთუ ასე ძნელია ცეკავშრომა ბოლოს და ბოლოს ეს საქმე მოაგვაროს ისე, რომ ყოველ ზაფხულს (ყოველ და არა ხანდახან) მემინდვრე მექანიზატორებს გაგანაა სიცხეში მინდვრად მიუტანონ გემრიელი კერძები, გამაგრილებელი წვენები, ნაყინი და სხვა. ჰო, ნაყინზე: სოფელ-სოფელ კი დაავქვთ ხოლმე, მაგრამ ამით მუქთახორა ახალგაზრდები უფრო სარგებლობენ, ვიდრე მინდვრად მომუშავენი. ეს წვრილმანი არავის ეგონოს, მტკივნეული საკითხია. მტკივნეულია ისიც, რომ სამრეწველო თუ სასურსათო მაღაზიებში, საზაკვების ობიექტებში მომუშავენი გადამალავენ ხოლმე დეფიციტურ საქონელს. ჩემი აზრით, ზაფხულობით სოფლებში და ქალაქებში მაღაზიები და სასადილოები, დასვენების დღეების გარდა, უნდა დაკეტოთ და მინდვრად, ბაღ-ვენახებში გავიყვანოთ ისინი, იქ მუშაკაცს მოემსახურონ პატიოსნად.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი: რატომ არ უჩერდებათ გული ახალგაზრდებს თავიანთ მშობლიურ სოფელში?

ყრილობაზე ერთობ ნათლად და გასაგებად თქვა: „დიდი ხანია ცნობილია და სწორიც არის, რომ ჯანმრთელობას აფთიაქში ვერ იყიდი. მთავარია ადამიანის ცხოვრების წესი, ის, კერძოდ, თუ რამდენად გონიერულად და სარგებლიანად იყენებს იგი თავისუფალ დროს. ამის შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ ძლიერ ადამიანთა დიდებული მემორიალი რად ღირს! ან როგორ კეთილმოეწყო გზები, სოფლების ცენტრები. რაიონის ახლანდელი ხელმძღვანელებისადმი მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ განა კარგად არ თქვა პოეტმა ლადო ასათიანმა: ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდაო. მართლაც, თუ გვინდა რომ ახალგაზრდობამ სოფელი არ მიატოვოს, ყოველგვარი პირობები, ქალაქური პირობები უნდა შეეუქმნათ.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ გასაკეთებელი ბევრ სასოფლო რაიონში, ქართლ-კახეთის თითქმის უმეტეს სოფელში ბევრია. ამის შესახებ ყრილობაზე საკმაოდ გამოკვეთილად ითქვა. განსაკუთრებით მომეწონა პარტიის ვეტერანის, სოციალისტური შრომის გმირის, ვორონეშოვგრადელი მეშახტის კ. პეტროვის საინტერესო გამოსვლა. მან გაბედულად უთხრა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, მინისტრებს, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებს, მეშახტეთა ცხოვრებაზე თითქმის არაფერი იწერებაო, არც ფილმებს იღებენო.

ყრილობათა სასახლეში მას რომ ვუსმენდი, ჩვენი რაიონის, საქართველოს ბევრი სოფელი დამიდგა თვალწინ და გული მეტკინა, რომ ჩვენი რესპუბლიკის კულტურის სფეროს მუშაკები სოფელთან ვალში არიან. ზოგიერთი კარგი პროზაული ნაწარმოები, თუ ლექსი, კინოფილმი თუ სპექტაკლი საქმეს ვერ შველის.

გამგონია, ჩვენს რაიონში ომამდე და ომის შემდეგაც კარგი სახელმწიფო თეატრი ყოფილა, ახლა მთელ კახეთში მარტო თელავშია თეატრი, რომელიც ორიოდე რაიონს ემსახურება და ისიც არა რეგულარულად. სიღნაღში არის სახალხო თეატრის კარგი კოლექტივი, მაგრამ მათი დადგმები ხელმოკლეობისა და უხეირო კლუბის გამო ღარიბულია. თანაც, პატარა კლუბში, რომლის სცენაზე, რომ იტყვიან, კატა ჭუდს ვერ მოიქნევს, რასაც აკეთებენ, ისიც დიდ თავგანწირვად მიმაჩნია. პირდაპირ უნდა ვთქვათ: სიღნაღი ტრადიციულად დიდი ლიტერატურისა და ხელოვნების რაიონია (ვანო სარაჯიშვილის, სანდრო ინაშვილის, სანდრო ახმეტელის, ვასო გოძიაშვილის, ჰამლეტ გონაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, ილო მოსაშვილის, ჭელიძეების, ბ. კვერნაძის და სხვა ბევრის სამშობლოა). ბოლო წლებში რაიონის ხელმძღვანელობამ საკითხი დააყენა, რომ სიღნაღში სახელმწიფო თეატრი აღდგენილიყო. ან თელავის თეატრის ფილიალი მაინც გახსნილიყო. მაგრამ ჯერჯერობით არსაიდან ხმა... გარდა ამისა, სიღნაღის თეატრისა თუ კულტურის სახლისათვის ჩინებული ადგილი შერჩეულიც არის და მოსწორებულიც. როგორც ვიცი, მშენებლობის დაწყებას საშველი არ დაადგა სათანადო სამინისტროს მიზეზით.

კულტურის სამინისტროს სხვა მეტიც მოეთხოვება, რას ჰგავს ზოგიერთი კლუბი და ბიბლიოთეკა (თუნდაც ჩვენი სოფლის). ნუთუ ვერ უნდა გადავაქციოთ ისინი ახალგაზრდების საქმიანი თავშეყრისა და გართობის ადგილად? კულტურის სასახლეები აქვთ ძველ ანგაში, ტიბანში, მაგრამ რა, იქ დროდადრო კინოფილმებს თუ უჩვენებენ; სხვა მუშაობა მარტო ქაღალდზე ჩანს. ბოდბისხევის კლუბის შენებლობა წლობით ჭიანურდება, რაც გაკვეთდა, ისიც ინგრევა. ქალაქ წნორში კლუბი ოცდაათიანი წლების შენობაშია.

ერთი საჭირო საკითხიც: იმედი მაქვს კულტურის სამინისტრო მალე აღადგენს ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებს, თორემ უგემოვნო საესტრადო ორკესტრების სიმრავლემ ლამის წალეკოს საუკუნეების მანძილზე შექმნილი ხალხური საუნჯე — სიმღერები, რომელიც შრომაში იქმნებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შესანიშნავ ხალხურ სიმღერებს ზოგ-ზოგი კომპოზიტორი ისე გადააკეთებს ხოლმე, მოსმენა შეგიზარება. არადა, ჩვენი ხალხური სიმღერა ისე ძლიერია, საესტრადომ ვერა და ვერ დაჯაბნა. ამიტომაც, მოდით, ნუ დავამახინჯებთ ქართულ ხალხურ სიმღერებს, ესტრადას ესტრადის ადგილი მიეუჩინოთ.

გაზეთებშიც წამიკითხავს ბოლო გვერდზე და რადიოშიც ხშირად აცხადებენ, რომ თბილისის თეატრებში ამა და ამ აბონემენტის მფლობელთათვის არის ამა და ამ დღეს სპექტაკლი დანიშნული. არ შემიცხვება, თუ ვიტყვი, რომ აბონემენტიანების მეტი წილი არც კი მიდის თეატრში და ხშირად სანახევროდ ცარიელ თეატრებში უჩვენებენ სპექტაკლებს. გამონაკლისი მაღალი რანგის სპექტაკლებია. განა არა სჯობია რეგულარულად ჩამოვიდნენ სოფლები (და არა მარტო რაიონის ცენტრებში), სადაც კი დიდი კულტურის სახლებია, დიდებული დარბაზი და სცენაა და იქ გამართონ წარმოდგენები? იქ ხომ უამრავი მაყურებელი ეყოლებათ და ტაშს მონატრებულ მსახიობებსაც გული გაუკეთდებათ და სოფლელებიც ეზიარებიან დედაქალაქის ხელოვნებას? რუსთაველის თეატრის მესვეურებსაც უნდა ვუთხრა მოურიდებლად: თქვე კაი ხალხო, მსოფლიო დაიპყარით თქვენი ხელოვნებით და ჩვენ, სოფლელებმა რა დავაშავეთ? მოდით, ჩვენთანაც მოდით, თან დრამატურგებიც წამოიყვანეთ, შეგეხვდით, გვესაუბრეთ. იქნებ სათქვენო თანამედროვე გმირებიც აღმოაჩინოთ ჩვენს შორის?

(გაგვიცანდთ, დაგვაკვირდით და ჩვენზე უფრო რეალურ, თანამედროვე სპექტაკლებს შექმნით. თორემ ზოგ-ზოგ დედაქალაქელ რეჟისორს თავმჯდომარე და პარტორგი ისევ გალიფშვარვლიანი და ომისდროინდელი ბრტყელქამრიანი წარმოუდგენია, ხოლო სოფლელ კაცს ძველებურად აცმევენ. არა, ასე აღარ არის. ჩვენთან, სოფლელებს ისევე აცვიათ, როგორც თბილისელებს. ტიპები? რამდენიც გინდათ. ასე რომ, თქვენთვისაც სასარგებლო იქნება ჩვენთან ხშირად ჩამოსვლა და ჩვენთვისაც. ამას რომ ვამბობ, მარტო ჩვენს რაიონს კი არ ვგულისხმობ, არამედ მთელ რესპუბლიკას. რამდენი დიდებული კულტურის სახლია. იქ მაინც ჩადით.

ვფიქრობ, დედაქალაქელი ხელოვანნი რაც ხშირად იქნებიან სოფლად, რაც ხშირად გვიჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას, ჩვენს ახალგაზრდებს მით უფრო ნაკლებად გაუწევთ გული ქალაქისაკენ. კულტურის სამინისტრომ, ვფიქრობ, ამჯერად უფრო მეტად უნდა მიხედოს სოფელს, თორემ დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში უსაქმური სოფლელი ახალგაზრდები ძალიან მომძაგდნენ. ასე რომ, ჩვენგან შრომას რომ მოითხოვთ, კარგია. ჩვენ კი კულტურის მუშაკებისაგან ჩვენთან სიახლოვეს მოვითხოვთ. ეს ორმხრივ სასარგებლო და სასიამოვნო იქნება.

ლალი ოტიაშვილი,
სიღნაღის რაიონის ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ ტრაქტორისტი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი.

არა მარცხი შრომითა

დელეგატი ფიქრობს, მოითხოვს

სურათზე: სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მექანიზატორი ლალი ოტიაშვილი (ცენტრში) ყრილობის შემდეგ თანასოფლელ ახალგაზრდებთან შეხვედრის დროს.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო.

საქართველოს ყოველი პარტიული ორგანიზაციისათვის ცხოვრების კანონად, რესპუბლიკის კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის სამოქმედო სახელმძღვანელოდ იქცა წკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ისინი ერთსულოვნად, ერთხმად, ერთგულად ყრილობის მიერ დამტკიცებულ პარტიულ კურსთან და საკავშირო პარტიის გენერალურ გეზს, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება. მხურვალედ, დაინტერესებულად განხილავენ რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტთა ფორუმის მუშაობის შედეგებს და აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩანაფიქრებს ენერგია აქციონ კონკრეტული მოქმედების ენერგიად, ყოველი ღონე იხმარონ პარტიის გეგმების განსახორციელებლად.

განახლებისა და გარდაქმნების გეზით

საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღება ათ დღეს მოსკოვს იყო მიპყრობილი. ათ დღეს კრემლის ყრილობათა სასახლიდან ადამიანები ელოდნენ პასუხს ყველაზე მწვავე პრობლემებზე, საჭირბოროტო საკითხებზე.

და აი, სკკპ XXVII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ჩვენი ლენინური პარტიისათვის, ცენტრალური კომიტეტისათვის სიამაყის გრძნობით უნდა ვთქვათ, რომ ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი პარტიული ფორუმი გახდა ჩვენი ლენინური პარტიის განუხრელი კურსის განხორციელების, მისი იმ გადაწყვეტილების მკაფიო დადასტურება, რომ იაროს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური გარდაქმნების გზით. ყრილობამ დასაბუთებულად ცხადყო, რომ მშვიდობა და სოციალიზმი ორი განუყოფელი ცნებაა და საბჭოთა პოლიტიკის მთავარ მიზნად დასახა პლანეტის ყველა ხალხისათვის სამართლიანი მშვიდობა.

ჩვენ, საქართველოს მეცნიერები, მზად ვართ ჩვენი წვლილი შევიტანოთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრაში — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. მისი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველია ქიმიის მეცნიერება. ამ დარგში მიღწეულმა წარმატებებმა გაგვნო ჩანაფიქრები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროზე — მიწათმოქმედებით დაწყებული და მიკროელექტრონიკით დამთავრებული. მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ქიმიკოსების წინაშე კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები დგას. კერძოდ, მათ ფართოდ უნდა გამოიყენონ მანგანუმის პერსულფატიული შენაერთები, როგორც დენის წყარო და ეფექტიანი მეანგავი, განაგრძონ ფუნდამენტური გამოკვლევები ქართული ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიის დარგში, შეიმუშაონ სპეციალური სორტების ფოლადი და შენადნობები. ბუნებრივი ცეოლითები გამოიყენონ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მცენარეულ ნედლეულიდან მიიღონ ახალი სამკურნალწამლო პრეპარატები, შეასრულონ ფხვნილების მეტალურგიის საფუძველზე ახალი ნაწარმის და აგრეგატების შექმნის პროგრამა.

გიორგი ციციშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

ცხოვრების კანონი

უდიდესი ყურადღებით ვადევნებდით თვალს ჩვენი მშობლიური ლენინური პარტიის ისტორიული XXVII ყრილობის მუშაობას. მისი ტრიბუნიდან წარმოთქმული ყოველი სიტყვა გულში გვწვდებოდა, გვიღვიძებდა აზრს, ახალი მიღწევების სურვილს.

ყრილობამ პასუხი გასცა კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც ცხოვრებამ დააყენა პარტიის, საბჭოთა ხალხის წინაშე, შეიარაღა ყოველი კომუნისტი, ყოველი საბჭოთა ადამიანი მომავალი ამოცანების მკაფიო ხედვის უნარით. მან, როგორც თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ყრილობის დახურვისას წარმოთქმულ სიტყვაში, ჩაიარა პარტიული პრინციპულობისა და ერთიანობის, მომთხოვნელობისა და ობიექტიური სიმართლის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აშკარა გამოვლინების, ჩვენი ხაზოგადოების სამშინაო და საგარეო პირობების ღრმა ანალიზის ატმოსფეროში.

სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა პარტიის გენერალური გეზი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებას. მან დასახა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის გაბედული ფართო მასშტაბის პროგრამა.

ამიერიდან იგი ხდება პარტიისათვის ცხოვრების კანონი, რაც თითოეულ ჩვენგანს ავალებს ვიყოთ უაღრესად მობილზებული, გამოვიჩინოთ თავდადება, უწინარეს ყოვლისა, შრომაში. დროა საბოლოოდ უკუვაგდოთ მაღალფარდოვანი ფრაზები და ფუჭი დაპირებები. მხოლოდ კონკრეტული შედეგი, შრომითი უკუგება შეიძლება. გახდეს ადამიანის მოქალაქეობრივი სიმწიფის, მისი მუშობის მორალური და მატერიალური წახალისების საწყაო.

ჩვენთვის, მუშებისათვის, მაღალხარისხოვანი, მაღალპროფესიონალური შრომის მოთხოვნამ ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ჩვენ ხომ სხმოულს ვაწვდით მანქანათმშენებელს, რომლისაც ყრილობამ ძალზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა. მთდიანი, ტექნიკური პროგრესის თაოსნებისადმი სერიოზული მოთხოვნები მთლიანად და სავსებით გვეხება ჩვენც. და ამიტომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დავიშურებთ, რათა პირნათლად შევასრულოთ პარტიის წინაშე დასახული ამოცანები. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ახალი გაჯანება მივცეთ სოციალისტურ შეჯიბრებას ყოველ სამუშაო ადგილას მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის, უწრფელესგუოთ მისი ზუსტი და სტაბილური მუშაობა მთელი ხუთწლედის მანძილზე, ქარხნის რეკონსტრუქციის მიუხედავად.

გიორგი კურტანიძე,
თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეცხელეობრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გაზაფხულია ქართლის მიწაზე

ირიბად ცვიოდა ციდან თოვლის მსხვილი ფანტელები. ქალი სოფლის ავტობუსის გაჩერებასთან იდგა. ზვილები შემოხვეოდნენ ირგვლივ. ხუთიოვე მოსულიყო დედის გასაცილებლად. დედა კი — სახელოვანი ქალი, გორის რაიონის ზეიდულეთის კოლმეურნეობის მეჭარხლე ანასტასია გიგაური იდგა და ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ღიმილიანი მზერით სითბოსა და ალერსს უნაწილებდა.

თებერვლის იმ სუსხიან დღეს ზეიდულეთელები სკკპ XXVII ყრილობაზე აციოლებდნენ თავიანთ წარგზავნილს. „ნივა“ მოადგა შეკრებილთ, მანქანიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალბერტ ილურიძე გადმოვიდა.

— ჩასხედით, მანქანა გორამდე ჩაგიყვანთ. პარტიის რაიკომში — გელოდებიან, — მიმართა მან ანასტასიას.

ეს სულ ამ ორიოდე კვირის წინათ იყო...

გასულ პარასკევს დაბრუნდა ყრილობის დელეგატი შინ. რომ მიდიოდა, თოვლის თეთრ საბურველში იყო გახვეული სოფელი. ახლა თოვლიც აუღია, მიწაც გამშრალა, ხეებიც თითქოს კვირტის გამოტანის მოლოდინში გაღვრესულანო, კენწეროებიც კი არ ერხეგათ.

— როგორა ხარ, რა ამბავი ჩამოგვიტანე დიდი ქალაქიდან? — ეკითხებოდნენ თანასოფლელები.

სოფელში ჩამოსვლისთანავე თანამოსაქმეებმა საკოლმეურნეო კანტორაში შეხვედრა მოუწყვეს სკკპ XXVII ყრილობის დელეგატს.

ანასტასია გიგაურმა შეკრებილთ გაუზიარა ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებანი, უამბო, თუ რა გრანდიოზული ამოცანები დასახა კომუნისტურმა პარტიამ ქვეყნის შემდგომი აღმშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

— როგორ მიდის საქმეები კოლმეურნეობაში?

— ჩინებულად, — თქვა თავის გამოსვლაში თთარ გიგაურმა, იმ ბრიგადის ბრიგადირმა, რომელშიც ანასტასია შრომობს, — ბრიგადაზე გაპიროვნებულ ბაღებში მთლიანად დამთავრდა ხვნა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, სხვლა, მზადდება კვალსათბურები სანამსტენ ჩითილის გამოსაყვანად.

ზეიდულეთელი კოლმეურნეები ენერგიულად იწყებენ ლაშქრობას მეოორმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის.

ანასტასია გიგაურიც ამ მოლაშქრეთა პირველ რიგებშია.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დიდმწარმოებლურად წარმართოთ მშენებლობა

ფასადებს სიცოცხლე

ემატება

„თბილისკალაქმშენის“ გაერთიანების № 3 სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლის სამი თვის გეგმა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულა. მშენებლები საამისოდ საფუძვლიანად მოემზადნენ. გამონახეს რეზერვები, ყველაფერი აწონ-დაწონეს და დაეყრდნენ ადრე მიღწეულ წარმატებებს.

საქმე ის არის, რომ შარშან და, საერთოდ, მეთერთმეტე ხუთწლედში გაერთიანების სისტემის მონთაჟსავე საწარმოებს შორის ყველაზე დამაჯერებელ შედეგებს სწორედ ამ კომბინატის კოლექტივმა მიაღწია. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ისე საცხოვრებელი სახლების კომისიისათვის ჩაბარების სახელმწიფო გეგმები. დავალების გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 30 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, შესრულდა 500 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საგრძნობლად გაუმჯობესდა ამოქმედებული ობიექტების ხარისხი.

ყველაფერ ამას ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიური ხაზებისა და კონსტრუქციების შექმნა, არსებული სამშენებლო პროცესის დახვეწა, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, ბრიგადული იჯარის ფართოდ გავრცელება. სხვათა შორის, ბრიგადული იჯარით ახლა კომბინატის ყველა ბრიგადა იღვწის და საკმაოდ შედეგიანადაც.

კომბინატის კოლექტივმა, როგორც მთავარმა ინჟინერმა ნოდარ გრიგოლიამ გვითხრა, — პირველმა დანერგა შენობათა ფასადების მარმარილოს ღორღით მოპირკეთება, რაც მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს მათს გამძლეობას. მარმარილოს „ნამცეცებით“ მოპირკეთებულ კედელს ვერაფერს აკლებს წვიმა, თოვლი და მზე. ფასადის ლამაზი იერის შენარჩუნება მეორე ხარისხოვანი საკითხი როდი გახლავთ.

კომბინატის კოლექტივის მეცადინეობით დაინერგა კარკასულ-პანელიანი მეთოდით მშენებლობა, რაც დიდ მატერიალურ სახსრებს ზოგავს. ამ მეთოდით სახლების აგებისას გამორიცხულია ერთეულები პროცესი — შედეგება. კარკასები ერთმანეთს ეგრეთ წოდებული შტეფსელური წესით უერთდებიან. თბილისის ზონალური ექსპერიმენტული ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად კომბინატის სპეციალისტებმა ახალი გადასახური ფილების წარმოების ტექნოლოგიაც შეიმუშავეს და დანერგეს კიდეც წარმოებაში. დაინერგა აგრეთვე ანკერული საძირკვლების გამოყენება წინასწარი დაძაბვის მეთოდით. ეს სიახლეც ზემოხსენებული ინსტიტუტის კოლექტივის დახმარებით განხორციელდა. ასეთი საძირკვლებით იზოგება ბეტონის 50 პროცენტი, და ლითონის 40 პროცენტი. მათ ფართოდ გამოიყენებენ მშენებლობაში.

ბრიგადულ იჯარაზე 100 პროცენტით გადასვლამ ბევრი საკეთე მოუტანა კომბინატს. მნიშვნელოვნად გამარტივდა მშენებლობის პროცესები, საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი. თუ ადრე ბრიგადები ერთი სახლის აგებას 8-9 თვეს უნდებოდნენ, ახლა ეს დრო ერთი თვით შემცირდა. გაიზარდა მატერიალური დაინტერესება. მუშები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ურთიერთკონტროლი შრომის ობიექტური განაწილებისა და სამუშაოთა მაღალ დონეზე შესრულების გარანტიაა. ერთ სამონტაჟო ბრიგადაში ამჟამად 10-15 კაცია, ისინი ცვალებადი გრაფიკით ორ გახანგრძლივებულ ცვლაში მუშაობენ. ბრიგადა დაკომპლექტდა მაღალი კვალიფიკაციის მუშებით, თითოეული მთგანი რამდენიმე სპეციალობას ფლობს. დურგალს შეუძლია შეცვალოს მებეტონე მომპირკეთებელები, სანტექნიკოსები, ელექტრომონტიორები და ა. შ.

კომბინატის ხელმძღვანელობა, მთელი კოლექტივი იმისათვის იღვწის, რომ სამონტაჟო სამუშაოების შესრულების პროცესში არც ერთი წუთი არ დაიკარგოს. საამისოდ უკვე სპეციალური გრაფიკებიც შეიმუშავეს.

კომბინატში, რა თქმა უნდა, არის სიძნელეებიც. ბევრი სიახლე ვერ ინერგება წარმოებაში სწრაფად, ვინაიდან ჯერ კიდევ ჭარბობს მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მისი სრულყოფისათვის შეუფერხებელად უნდა დანერგოს სიახლეები, გამოიყენონ ინდუსტრიული მეთოდები. საამისოდ ახლა რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა შეიმუშავეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელთა განხორციელება მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესებს მშენებლობის ხარისხს.

შრომის ახალი მეთოდების დანერგვის, შიგა რეზერვების სრული ამოქმედების შედეგად, კომბინატის ხელმძღვანელობის აზრით, 1987-1988 წლებში წარმოების სიმძლავრე 15 პროცენტით გაიზრდება. კომბინატის მშრომელები ქალაქის მრავალსახეობის ექსპერიმენტულ მშენებლობაში მონაწილეობენ. ასეთ მშენებლობებზე ინჟინერ-ტექნიკური და მუშათა კადრები სტაბილურია, დენადობაც ნაკლებია.

კომბინატის მშრომელებმა საიმედო შედეგებით დაამთავრეს მიმდინარე წლის პირველი თვე. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 105,2 პროცენტით, საბინაო მშენებლობისა კი 100 პროცენტით შესრულეს.

მაღალ შრომითს მაჩვენებლებს აღწევენ ის მემონტაჟეთა ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ავთანდილ ინასარიძე, რობერტ გეშპლოოვი, ილო ციგრიაული და კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ქართლოს ქართლელიშვილი ხელმძღვანელობს.

გადის დღეები, სართულები სართულებს ემატება, სახლებს სახლები და მშენდება ქალაქი, ერთ დროს გამოუყენებელ ფერდობებსა თუ სხვა ადგილებში სიცოცხლე ისადგურებს.

ლ. ჟინჟლაძე.

ეს ითქვა ყრილობაზე

„საჭირო საწარმოთა ხელფასის ფონდის ოდენობა უშუალოდ იყოს დაკავშირებული მათი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალთან. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გამოვრიცხოთ გამოუხდელობა, მდარე ხარისხის საწარმის წარმოება და მიწოდება, მუშაობა, როგორც იტყვიან, საწყობისათვის“.

(პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენებიდან).

ხელფასი: დარიცხვა რეალიზაციის მიხედვით

ზესტაფონის ქარხანა „საქაბელის“ ამირან ჯანიშვილის ბრიგადა, მიუხედავად იმისა, რომ სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულა პირველი კვარტალის გეგმა, არ ჩქარობს კუთვნილი პრემიის მიღებას. ეს პრემია, ისევე როგორც მთელი ხელფასი ამ სამეურნეოანგარიშიან კოლექტივში, გამოიანგარიშება მზა პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ. არა ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების მკაცრი ბარიერების გავლის, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომხმარებელი მიიღებს ნაწარმს.

— მომიჯნავემ რომ დაადგიანოს გადახდა? — ასეთი კითხვით მიმართა საქინფორმის კორესპონდენტმა ბრიგადირს.

— იმ დიდი მასშტაბის დარგობრივი ექსპერიმენტის პირობების თანახმად, რომლის პრინციპებითაც უკვე მესამე წელია ვმუშაობთ, ასეთი რამ გამორიცხული უნდა იყოს, — ამბობს ჯანიშვილი.— და თუმცა ზოგჯერ გვიგვიანებენ კიდეც გადახდას, მაგრამ ჩნია, რომ ძირითადად ასეთმა მეთოდმა გაამართლა თავისი დანიშნულება, რადგან ადამიანებს მიზნად უსახავს არა მარტო მაღალხარისხოვანი, არამედ საჭირო ასორტიმენტის პროდუქციის წარმოებასაც ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

საწარმოს ასობით მიმწოდებელი და მომხმარებელი ჰყავს. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის ეკონომიკური ურთიერთობის ჯაჭვის ოპტიმალი მუშაობა მოგვარება, რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური რგოლია გადასახდელები. და აქ ძირითადი სიმძიმე ქარხნის ხელმძღვანელობას აწვება.

— რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ყველაფერი სასთანადოდ როდია მოგვარებული. თქვა საწარმოს დირექტორმა გურამ კუპუხიძემ. — არიან მომხმარებლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შარშანდელიდან მართებთ ჩვენი საკმაოდ დიდი თანხები, მაგრამ როცა ბრიგადის მასშტაბით გამოვცადეთ ხელფასის ახლებურად დარიცხვის მოდელი, დაგრწმუნდით — ახლებურად მოგებასაც ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

ბ

საკლესიო ცნობა

დიდი წვლილი მსოფლიო მეცნიერებაში

მეორე საბჭოთა სადგური იკვლევს ჰალეის კომეტას

მთლიანად შესრულდა „ვეგა-1“ და „ვეგა-2“ საბჭოთა ავტომატური სადგურების მეშვეობით ჰალეის კომეტის შესწავლის კომპლექსური მრავალმიზნობრივი პროგრამა, რომელიც შეიმუშავეს „ვენერა-ჰალეის კომეტა“ საერთაშორისო პროექტის მონაწილე ქვეყნების მეცნიერებმა და სპეციალისტებმა.

1986 წლის 9 მარტს მოსკოვის დროით 10 საათსა და 20 წუთზე „ვეგა-2“ სადგურმა 8,2 ათას კილომეტრ მინიმალურ გაანგარიშებულ მანძილზე ჩაუარა ჰალეის კომეტის ბირთვს. ამასთან მიმდინარეობდა ბირთვის სატელევიზიო გადაღება და მისი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესწავლა. აგრეთვე კომეტის აირ-მტვრის გარსის შინაგანი არეების კვლევა. მიღებულია დიდი მოცულობის ინფორმაცია ამ ციური სხეულის დინამიკური თვისებების, სტრუქტურისა და შედგენილობის შესახებ.

„ვეგა-2“ სადგურის სატელევიზიო სისტემამ კომეტის პირველი კვლევა მოაწყო 7 მარტს, როცა მათ ერთმანეთისაგან 14 მილიონი კილომეტრი აშორებდა. 9 მარტს გაიმართა სამეცნიერო კვლევის ძირითადი სეანსი.

„ვეგა-2“ სადგურის სატელევიზიო აპარატურის დახმარებით მიღებულია ოპტიკური სპექტრის სხვადასხვა ზონაში გადაღებული კომეტის 700-მდე გამოსახულება. დედამიწაზე გადმოცემულია ყურადსაღები მონაცემები ბირთვის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, აგრეთვე მის გარემომცველ აირ-მტვრის გარსში მიმდინარე პროცესების შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტი და სხვა საბჭოთა ცენტრები ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ჩეხოსლოვაკიის იმ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც მონაწილეობდნენ სამეშაოებში „ვენერა-ჰალეის კომეტა“ საერთაშორისო პროექტის შესაბამისად, ამუშავებენ მიღებულ ინფორმაციას.

„ვეგა-2“ სადგურთან კავშირის სეანსების დროს მოწყობილი ტრაექტორიული გაზომვის შედეგებს ამუშავებენ და გადასცემენ ევროპის კოსმოსური საგანტის სამმართველოს ცენტრს „ჯოტო“ კოსმოსური აპარატის უფრო ზუსტი ორიენტაციისათვის, რომელიც კომეტის ბირთვს ჩაუვლის 13 მარტს.

ჰალეის კომეტისაკენ „ვეგა-1“ და „ვეგა-2“ საბჭოთა საპლანეტთაშორისო ავტომატური სადგურების ფრენით იწყება მზის სისტემის შექმნისა და განვითარების კანონთა შემეცნების ახალი ეტაპი. პლანეტებისაკენ ფრენის შემდეგ პირველად კოსმოსური აპარატები გაიგზავნა მცირე ციური სხეულის შესასწავლად. კომეტის ნივთიერების მახასიათებლებისა და თვისებების უშუალო გაზომვების დროს „ვეგა-1“ და „ვეგა-2“ სადგურების მიერ მიღებულ უნიკალურ მონაცემებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ისინი აფართოებენ მეცნიერთა წარმოდგენებს პლანეტების სისტემების ჩამოყალიბების საწყისი სტადიების შესახებ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სამყაროს შესახებ მეცნიერებაში.

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი შესანიშნავი მიღწევა მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის შემდგომი შესწავლისა და ათვისების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია.

ვენერას პლანეტისა და ჰალეის კომეტის კვლევის დიდი საერთაშორისო პროექტის წარმატებით განხორციელება, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდი კოლექტივები, ცხადყოფს, რომ თუ სხვადასხვა სახელმწიფოები გააერთიანებენ ძალისხმევას, კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებას რეალური შესაძლებლობები და ფართო პერსპექტივები ექნება.

სსრ კავშირი - საფრანგეთი:

მეორე კოსმოსური ფრენა

საფრანგეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტის დროს მიღწეული უმაღლესი დონის მორიგების შესაბამისად, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში 7 მარტს საბჭოთა და საფრანგეთის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს ოქმს ერთობლივი პილოტირებული ფრენისათვის მზადების შესახებ. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეორე კოსმოსური ექსპედიცია უნდა მოეწყოს 1988 წელს საბჭოთა კოსმოსური ხომალდით და ორბიტული სადგურით. ორი ქვეყნის მეცნიერები უკვე შეუდგნენ ხანგძლივი ექსპედიციის სამეცნიერო პროგრამის მზადებას.

ოქმს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, „ინტერკოსმოსის“ საბჭოთა თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვ. ა. კოტელნიკოვმა, სსრ კავშირის მთავარ-კოსმოსის უფროსმა ა. ი. დუნაევმა და საფრანგეთის კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტმა ჟაკ-ლეონ ლიონსმა. (**საკდესის კორ.**).



სანდრო ახმეტელის 100 წლისთავისათვის

სრულდება გამოჩენილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაბადების 100 წელი. საიუბილეო ზეიმის მოწყობისათვის შეიქმნა რესპუბლიკური კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი.

გაიმართა საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა, რომლის მონაწილეებმაც მოისმინეს ინფორმაცია, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის. გადაწყდა საიუბილეო საღამო გაიმართოს მიმდინარე წლის შემოდგომაზე. დაწესდეს ს. ახმეტელის სახელობის მედალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ მიენიჭებათ საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრებისათვის.

სცენის გამოჩენილი ოსტატის იუბილეს მიეძღვნება საიუბილეო სესია, რომელსაც მოაწყობენ საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო და საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. იუბილეს დღეებში საქართველოს სურათების გალერეაში და რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყობა ს. ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია. იღებენ სატელევიზიო ფილმს „ს. ახმეტელი“.

რეჟისორის იუბილესათვის გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოუშვებს წიგნებს — ვ. კიკნაძის „სანდრო ახმეტელის ცხოვრებას“ და მ. კალანდარიშვილის „ს. ახმეტელს“ (რუსულ ენაზე). გამოვა სანდრო ახმეტელის წერილებისა და ნარკვევების ორტომეული, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ალბომი.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში და სანდრო ახმეტელის შობლიურ სიღნაღში დაიდგმება მისი სკულპტურული პორტრეტები. რეჟისორის იუბილეს დაუკავშირდება საქართველოს რაიონული თეატრების რესპუბლიკური ფესტივალიც.

(საქინფორმი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომის შესახებ

მიღწეული მორიგების შესაბამისად 1986 წლის მარტის მეორე ნახევარში ვარშავაში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

კონკურსში გაიმარჯვეს

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეჯამა უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული და წარმოებაში დანერგული მაღალეფექტიანი სამეცნიერო ნაშრომების 1984 წლის კონკურსის შედეგები. კოლეგიის გადაწყვეტილებით

პირველი პრემიები მიეკუთვნა:

რ. გ. დევდარიანს, დ. გ. გორდეზიანს, შ. ე. ხმალაძეს, დ. ი. ხარაშვილს, რ. შ. მდივანს ნაშრომისათვის „ეგმ-ის გამოყენებით გაზის არასტაციონარული მოძრაობის დროს ქალაქების და მაგისტრალების დატვირთვის არასტაციონარული რეჟიმების გამოკვლევა, გაანგარიშება და ოპტიმიზაცია“;

ი. ვ. გეგელაშვილს, ვ. ი. გეგელაშვილს ნაშრომისა თვის „ქ. თბილისის წყალმომარაგებისათვის არაგვის ველის მიწისქვეშა წყლების კომპლექსური გამოყენება“.

მეორე პრემია მიეკუთვნა:

გ. ე. ზეიადაძეს, ბ. ვ. საკანდელიძეს ნაშრომისათვის „ღია გამთბარ გრუნტში თუთის გამერქნიანებული კალმით სარგავი მასალის გამოზრდის ტექნოლოგია“.

ბორჯომი... ვინ არ იცის ეს ცნობილი ჯანმრთელობის კერა, შშვენიერი სასმელი. აქედან, სხვადასხვა ქარხნიდან, ყოველწლიურად იგზავნება 337 მილიონი ბოთლი სამკურნალო წყალი. და კიდევ 40 მილიონი ლიტრი მიაქვთ ცისტერნებით და ადგილზე ასხამენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში.

კურორტის 35 ჯანმრთელობის კერაში ყოველწლიურად ისვენებს და ჯანმრთელობას იკაჟებს 50 ათასი კაცი, ორჯერ მეტი ჩამოდის უსაზღვროებოდ. ადამიანს კურორტზე არა მარტო წყალი, არამედ ულამაზესი ბუნებაც — ხშირი ტყეებით დაფარული მთის კალთები, ღრმა ხეობები, ჰაერში ტრიალებს ფიქვნარების, აყვავებული ცაცხვის, აკაციის, სხვადასხვაგვარი ბალახის სურნელი. თავის დროზე პ. ი. ჩაიკოვსკი წერდა: „უკვე ორი კვირაა ბორჯომში ვარ. გეტყვით, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს“.

დიდ რუს კომპოზიტორს ეძღვნება ექსპონატები ამ დღეებში გახსნილ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. შორიახლოს დგას პ. ი. ჩაიკოვსკის ბრინჯაოს ფიგურა. იქვეა სამუსიკო სასწავლებელი. პარტიის რაიკომის პირველი მდივნის თენგიზ პეტრიაშვილის კაბინეტი არქიტექტურულ სახელოსნოს მოგაგონებთ. მაგიდაზე და კედლებზე ვხედავთ პროექტებს, ნახაზებს, მაკეტებს.

— უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა ჩვენი კურორტი, — ამბობს თ. პეტრიაშვილი, — მწყობრში ჩადგა 500-ადგილიანი სანატორიუმი „მთის ხეობა“ და სხსტემრო „თბილისი“. მთავრდება საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც ერთდროულად დღეში სამი ათასამდე ავადმყოფს მოემსახურება...

აი ლამაზი აეროული შენობის პროექტი. იგი, უექველია, დიდ სიხარულს მოუტანს იმათ, ვისაც ოჯახთან ერთად უყვარს დასვენება. 1.800 კაცს მიიღებს 330-ადგილიანი სამი ახალი სანატორიუმი. იქმნება სავაჭრო ცენტრი, სადაც იქნება მაღაზია „ბავშვთა სამყარო“, უნივერმაღი, „ბავშვთა სასადილო. ხუთწლედის დამლევს პირველ მიმსვლელებს მიიღებენ ჰიგიენის სახლი და ახალი პოლიკლინიკა. მტკვრის აღიდებისას ქალაქს საიმედოდ დაიცავს მშენებარე საყრდენი კედელი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წყლით და სითბოთი მოსახლეობის მომარაგება. მალე სანატორიუმების „მზიურის“, „განთიადის“ და „მტკვრის“ სახურავებზე გაჩნდება ჰელიოდანადგარები. მზე შენობებს ცხელ წყალს მიაწვდის.

ქალაქში გაიშლება საბინაო მშენებლობა, აიგება სამავშვო ბაღები და სკოლები. ახლდება ცენტრალური სტადიონი.

ჩვეულებრივი გახდება საბაგირო გზები. ისინი მგზავრებს სანატორიუმ „მთის ხეობიდან“ მიაყვანენ ტორის პლატოზე, აქედან კი — ს. ორჯონიძიკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ცენტრალურ პოლიკლინიკასა და საკოლმეურნეო ბაზარში. გათვალისწინებულია ახალი საჰაერო ტრასების, აგრეთვე ავტოვაგზლის მშენებლობა. დამსვენებელთა საჭიროებებისათვის გამოიყო ფა დამატებითი რაოდენობის ავტობუსები და ტაქსები.

ათასობით ექსკურსანტსა და დამსვენებელს მიიზიდავს ქალაქის ახლოს, სოფელ დაბაში მშენებარე მუზეუმი ღია ცის ქვეშ „ქართული სოფელი“. აქ რამდენიმე საათში შეიძლება ეაცანოთ საქართველოს ყველა კუთხე „ბორბალოს“.

კედელზეა დიდი ბაკურიანის გენერალური გეგმა.

— როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, — თქვა შენდეგ თ. პეტრიაშვილმა, — ამ მადლიან ადგილს კლიმატური პირობებით, ადგილის თვალწარმტაცი რელიეფით ბადალი არა აქვს მსოფლიოში. გარშემო გადაშლილია სივრცე უმაღლესი დონის ზამთრის სახეობათა სპორტში შეჯიბრებებისათვის.

...ვაგონებით, რომლებსაც პატარა ელმავლები ეწევიან, ზღვის დონიდან 1.800 მეტრზე ავედით და თოვლის ზღაპარში მოვხვდით. ყველგან, საათაც გაიხედავ, დათოვლილ გზებზე ხალხია. ფართო სარბიელი აქვთ მოთხილამურეებს. ლიდ ბაკურიანს ოთხასის 700 ჰექტარი უკავია. ამ ხუთწლედში გათვალისწინებულია „ეთილმოყოს დაბა. შეიქმნას ახალი დასვენების ცენტრი. მოშაობაში წ�მეტ ... ბევრი ... და ... 1.520 აკიანთვის გათვალისწინებული რვა სათბილამურო ბაზა, პანსიონატები და სასტუმროები „ბაკურიანი“, „მზიური ველი“, ბავშვთა სანატორიუმი „მზის სხივი“ და საოჯახო პანსიონატი. სანატორიუმ „ბორჯომს“ გაუჩნდება ფილიალი.

გათვალისწინებულია გაიხსნას საცხენოსნო და ტურისტული სასწავლო ცენტრები. დამსვენებელთა განკარგულებაში იქნება დარბაზი სათამაშო სახეობათა სპორტისათვის, სარკალიზაციო ცენტრი, ყინულის არენა, ტრამპლინები. დაბას დაამშვენებს კეთილმოწყობილი ქუჩები და მოსახერხებელი გზები.

გ. ლებანიძე,
(„**პრავდის**“ **კორ.**).

„პრავდა“, 1986 წლის 9 მარტი.

10 მარტი ● საკლესიო იუწყება

ეკლესია

ფაქტები • მოვლენები

სტუმრებს ელის ბორჯომი

პროექტები

მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს სსრ შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საჭიროა საერთო ძალისხმევა

პარიზი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის დავალებით სსრ კავშირის პარიზის საელჩომ ბუნენვალდ — დორის ყოფილ ტუსაღთა საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტს ა. დიურანს გადასცა საბჭოთა კავშირის პასუხი წერილზე, რომელიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს გაუგზავნეს ოსვენციმის, ბუხენვალდ-დორის, მაუთჰაუზენის, ნაცვეილერ-სტრუტჰოფის, ნოიენგამის, რაკენსბრიუკისა და ზაქსენჰაუზენის ყოფილ ტუსაღთა საერთაშორისო კომიტეტების სახელით. პასუხში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში გასაკუთრებით აფასებენ „ქენევის სულისკვეთების“, დაძაბულობის შენელებისა და ახალი ომის საფრთხის აღკვეთის მიმართულებით იმათი მოქმედების მხარდაჭერას, ვინც პირადად განიცადა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი.

საკუთარ ... ...

ჩვენი დღეების უტყუარი ქრონიკა

ახალი ქართული მხატვრული ფილმი „ერთ პატარა ქალაქში“, რომელიც ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდია „საქართველო ფილმმა“ საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით გადაიღო და სკკპ XXVII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობებს მიუძღვნა, მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის გიგა ლორთქიფანიძის ამ ახალ ფილმს საფუძვლად დაედო ცნობილი ქართველი დრამატურგის ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „როცა ქალაქს სძინავს“, რომელიც თავისი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსების გამო არა მარტო ჩვენში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და უცხოეთშიც არაერთხელ დადგმულა.

ერთხანს ალ. ჩხაიძის შესანიშნავი პიესები რატომღაც კინემატოგრაფიის ყურადღების მიღმა რჩებოდა. ახლა კი, საბედნიეროდ, ალბათ ერთგვარი და სრულიად გასაგები კომპენსაციის მიზნითაც კინოეკრანზეც სულ უფრო და უფრო ჩნდებიან ალ. ჩხაიძის გმირები, რომლებიც ესოდენ გვხიბლავენ დიდი ადამიანობით, უშუალობით, ცხოვრებისეული სიმართლითა და ხალისით, რაც თავვარია, აქტიური მოქალაქეობრივი შემართებით! ცხადია, ყოველივე ამან განპირობა კიდეც გ. ლორთქიფანიძის ახალი ფილმის შექმნაც, ოღონდ ამთავითვე უნდა მიეთითოს, რომ „ერთ პატარა ქალაქში“ ფილმ-სპექტაკლი კი არ არის, არამედ ახლებურად გააზრებული და, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, უაღრესად გათანამედროვეგ უ ლ ი, უაღრესად სადღეისო პრობლემატიკით დამუხტული ახალი, დამოუკიდებელი კინოსურათია, რომლის სცენარის ავტორები არიან თვით დრამატურგი და ფილმის დამდგმელი რეჟისორი.

...სტიქიური უბედურება დაატყდა საქართველოს ზღვისპირეთის ერთ პატარა ქალაქს! მართალია, აბობოქრებული ზღვის მძვინვარებას აშკარად ადამიანის სიცოცხლე არ შეუწირავს, მაგრამ ისეთი საერთო საზოგადოებრივი ზიანი მოჰყვა, რომ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. წყალდიდობით დაზარალებული ხალხი უკვე მთელი კვირა სასტუმროსა და საერთო საცხოვრებელშია შეხიზნული, დაიტბორა ზღვის პირას განლაგებული საწარმო-დაწესებულებები, პარკები. დამატებითი სახსრებისა და ფონდების გამოსათხოვად პარტიის ქალაქკომის საგანგებო კომისიამ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გასაგზავნი წერილის პროექტი შეიმუშავა...

ასეთ ვითარებაში გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც ერთადერთმა მხოლოდ პირველმა მდივანმა (მსახიობი ტრისტან ყველაიძე) დაიწუნა მინისტრთა საბჭოში გასაგზავნი წერილის პროექტი. ამას ისეთი დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომ იმავე საღამოს მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა, განსაკუთრებთ წარმოუდგენელი და დამფიქრებელი იყო ქალაქკომის პირველი მდივნის მიერ თავისი სკოლის ამხანაგის, უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, ქალაქის საშენებლო ტრესტის მმართველის (მსახიობი გურამ ფირცხალავა) გამანადგურებელი კრიტიკა. რაც მხილების ნიშნავდა.

იმავე საღამოს, როცა ამ გახმაურებული ბიუროს შემდეგ არჩილ გვარამია შინ ბრუნდება, მას მოულოდნელად ეწვევა შვიდი წლის უნახავი მეგობარი, ჩრდილოეთში მომშავე ვეშაპმეკრი გემის კაპიტანი გიორგი ლეკვაა (მსახიობი გოგი ხარაბაძე). საკმაოდ გვიანია, მაგრამ გიორგი ტელეფონით გამოიძახებს არჩილის სახლში უახლოეს მეგობრებს: ჟურნალისტ ჯანიკო ქვარიანს (მსახიობი გოგი ქავთარაძე), ბანკის მმართველის მოადგილეს პარმენ კამკამიძეს (მსახიობი გრიგოლ ჩიტაშვილი), ექიმ ვახტანგ მებუკეს (მსახიობი თენგიზ ჩანტლაძე), ქალაქის მილიციის უფროსს ბეგლარ გალდავას (მსახიობი სოსო გოგიჩაიშვილი), მათ შორის ვიქტორ ავალიშვილსაც. ასე რომ, ამჯერად უკვე პირველი მდივნის ბინაზე იმართება გაცილებით ცხარე კამათი ბიუროზე წარმოშობილი კონფლიქტის გასარკვევად, კამათი, რომელიც მთელ ღამეს გრძელდება და ნათლად წარმოაჩენს ფილმის გმირების ნამდვილ სახეს — ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვას და სწრაფვას.

ასეთი სიუჟეტური ქარგა არც კინოშია ახალი და, მით უმეტეს, არც საერთოდ დრამატურგიაში, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია — იგი დრამატურგისაგან ნამდვილ სიტყვის ოსტატობას მოითხოვს, რასაც ჩიხებულად არომეევენ თავს სცენარის ავტორები. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეჟისორი თვითმეზნურად იზღუდებოდეს ეანრობრივი თავისებურების ჩარჩოებით, არა, გ. ლორთქიფანიძისათვის მთავარია არა ჟანრის სპეციფიკის პედანტური მორჩილება, არამედ სათქმელის რაც შეიძლება სრულად, ნათლად და მკზნებარედ გადმოცემა. იმის დამაჯერებელი ჩვენება, თუ რა ამოძრავებს მის გმირებს, რას ელტვიან, რას ფიქრობენ ისინი — ეს კეთილშობილი, საქმიანი, თავდადებული ადამიანები, რომლებიც ზოგჯერ ალბათ ცდებიან კიდეც, მაგრამ ყოველ მათგანს ერთი დიდი სიყვარული ამოძრავებს — მშობლიური ქალაქის კეთილდღეობა, რომლის გამოც არც ერთი თავს არ დაიზოგავდა, — ეს არის მათი დიდი მოქალაქეობრივი სიმართლე და ადამიანური მომხიბვლელობა.

ამ აზრის, მისი ყოველი ნიუანსის გადმოცემა, ცხადია, დიდად იყო დამოკიდებული მსახიობთა ანსამბლზე. უნდა ითქვას, რომ გ. ლორთქიფანიძე ამ მხრივაც ღირსეულად აგრძელებს ღირსეული წინამორბედების შემოქმედებითს ტენდენციას.

გ. ლორთქიფანიძის ამ ფილმში, ასე ვთქვათ, ჩვენი საშუალო თაობის მსახიობები არიან დაკავებულნი (ტრ. ყველაიძე, ქ. კიკუხაძე, გ. ხარაბაძე, გ. ქავთარაძე, გ. ფირცხალავა, გრ. წიტაიშვილი, თ. ჩანტლაძე, ს. გოგიჩაიშვილი). ეს მთელი თაობაა, ჩვენი თეატრისა და კინოს მეტად საიმედო და საინტერესო თაობა!

დამდგმელი რეჟისორის დიდი დამსახურებაა, რომ შესწევს უნარი და ძალა ასე შეკრას და შეადუღაბოს თანამოაზრეთა კოლექტივი და თავისი სულის მდუღარება მაყურებელს გადასდოს. ამ ფილმში რამდენიმე ახალი თუ რამდენადმე ახალი მსახიობებიც ვიხილეთ, ვთქვათ, ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, ონის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიგა ჯაფარიძე მოხუცი მოქალაქის როლში, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი მერაბ ნინიძე, როგორც ჩანს, საამედო სამომავლო ძალაა, არც თენგიზ ჩანტლაძის ხილვით ვართ განებივრებული კინოეკრანზე.

თუ ფილმში ცოცხლობს ნამდვილი მოქალაქეობრივი, მამაცშვილური, პარტიული სიტყვა და ფეთქავს ჩვენი უაღრესად რთული, მაგრამ საინტერესო დროის მძლავრი მაჯისცემა, ეს საგრძნობად განაპირობა მთავარი გმირის, ქალაქკომის პირველი მდივნის არჩილ გვარამიას საოცრად შთამბეჭდავმა და დიდი ადამიანური მომხიბვლელობით აღსავსე სახემ. ქართულ კინოში ეს ტრისტან ყველაიძის პირველი მთავარი როლია და ერთობ მისასალმებელი. მის გმირს იმდენად დაკვირვებული და დაფიქრებული ცქერისა და მოსმენის უნარი აქვს, რომ უნებურად ნდობითა და პატივისცემით განაწყობს მასთან მოლაპარაკესა თუ მოპაექრეს. ეს კი ისეთი თვისებაა, რომელიც ხელმძღვანელ მუშაკს უსათუოდ უნდა ჰქონდეს, თორემ ისე ადამიანებთან ურთიერთობა გაუჭირდებოდა. არჩილ გვარამია ზოგჯერ დიდი სიძნელის წინაშე აღმოჩენილა, თუნდაც მაშინ, საკუთარმა ვაჟიშვილმა რომ ვერ გაუგო, — მამამ უპატიოსნო, ულირსი გზით არ მოინდომა მისი მოწყობა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად წარიმართა, ყმაწვილი შეიგნებს, რომ არ იყო მართალი და ყოველივე ამაში გულწრფელად გამოუტყდება მამას... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ამაღელვებელი სცენაა ფილმში და მაყურებელიც ნამდვილ რეალურ შვებას გრძნობს — გზას ულოცავს ცხოვრების ქარტეხილებთან საბრძოლველად შემართულ მამა-შვილს. ეს არის ფილმის ღრმა ფილოსოფიური აზრი, რომელიც მას დიდ შემეცნებითს ღირსებას ანიჭებს.

ფილმის საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კომპოზიტორმა ბ. კვირნაძემ, ხმის ოპერატორმა ზ. ნადარაიამ, მხატვარმა კ. ხუციშვილმა და ოპერატორმა ა. მაისურაძემ. ყოველი მათგანის მუშაობა, უდავო პროფესიული ღირსებების გამო, ცალკე საუბარსა და მაღალ შეფასებას იმსახურებს; რაოდენ შთამბეჭდავია თუნდაც ფილმის ექსპოზიცია, — სტიქიური უბედურების შემდეგ მისი შედეგის ჩვენება..

„ერთ პატარა ქალაქში“ თანამედროვე ქართველი კინემატოგრაფისტების საფუძვლიანი, კეთილშობილური და მამულიშვილური ნაზრევის შედეგია, ჩვენი ბობოქარი დღეების უტყუარი ქრონიკა.

გიორგი დოლიძე.



სურათზე: *კადრი ფილმიდან „ერთ პატარა ქალაქში“; ტრისტან ყველაძე — ქალაქკომის პირველი მდივანი არჩილ გვარამია; გოგი ქავთარაძე — ჟურნალისტი ჯანიკო ქვარიანი.*

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის ბატრიბიდან ერთ-ერთი — თბილისსა და მინსკის დინამოელ თანამლეგელთა შეხვედრა მართლაც უაღრესად დაძაბული და საინტერესო იყო. ტრადიციულად თბილისელთა ამ ძნელმა მეტოქემ საგრძნობი უპირატესობით წარმართა მატჩი, რომლის დროსაც გაბელიას არაერთხელ მოუხდა კარის გადარჩენა. მაგრამ შეხვედრის მესამოცე წუთზე მინსკელებმა საუცხოოდ გაითამაშეს საჯარიმო და ალეხნიოვმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ეს მოხდა ისეთ ვითარებაში, როცა მასპინძლებმა თითქოს ერთგვარად ჩაიჩრეს სტუმრების საიერიშო მოქმედება. საჭირო გახდა საგანგებო ზომების მიღება: გაზაევმა და ჩელებაძემ შეცვალეს ცაავა და მესხი. ჯერ იყო და, სულაქველიძემ 78-ე წუთზე ჩელებაძის მოწოდებული ბურთი „მოათვინიერა“ და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. მატჩის დამთავრებას უკვე რაღაც წამები აკლდა, როცა ჩელებაძემ დასარტყმელ პოზიციაში გასულ გაზაევს გადასცა ბურთი და ამ უკანასკნელმა გამარჯვების მაუწყებელი გოლი გაიტანა — 2:1. ამგვარ შემთხვევებში იტყვიან ხოლმე, შეხვედრა მწვრთნელმა მოიგოო.

თბილისელთა შემადგენლობა ამჯერად ასეთი იყო: გაბელია, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია, კუდინოვი, ჯოხაძე, კაკილაშვილი, სულაქველიძე, რ. შენგელია, ცაავა (ჩელებაძე), მესხი (გაზაევი).

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ“ კიევის „დინამოს“ უმასპინძლა.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მართლაც ტოლი არ დაუდეს ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონებს: ტორპედოელები გულდასმით, აკურატულად მოქმედებდნენ თითქმის ყველა რგოლში და ამის ლოგიკური შედეგი ის იყო, რომ შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ მეკარე აბუსერიძემ საუცხოოდ ითამაშა.

ძალთა თანაფარდობა ბოლომდე არ დარღვეულა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. „ტორპედომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე, ფრუიძე, პაიკიძე, ჭელიძე, ვასაძე, ბარათაშვილი, კორღალიძე, ეორეიკაშვილი, მეგრელაძე (კერესელიძე).

ბელგრადი. ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების ბელგრადში ჩამოსვლის „დინამო“ - „ქალგირისი“ — 1:1, „დნეპრი“-„მეტალისტი“ — 2:1, „ჩერნომორეცი“-„შახტიორი“ — 1:0, „სპარტაკი“-„ზენიტი“ — 0:0, „ნეფთჩი“-მოსკოვის „ტორპედო“ — 2:0, „არარატი“-„აიარათი“ — 1:0.

ორი ტურის შემდეგ ოთხ-ოთხი ქულა აქვთ „დნეპრსა“ და „ჩერნომორეცს“, ნულზე არიან „მეტალისტი“ და „შახტიორი“.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს 2-2 გასვლითი მატჩი ელით: 16 მარტს თბილისს „დინამო“ ალმა-ათაში ითამაშებს „აირათთან“, ქუთაისს „ტორპედო“ კი მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსთან“, 23 მარტს თბილისელები ითამაშებენ მოსკოველ ტორპედოელებთან, ქუთაისელები — ალმაათელებთან.

ტაშკენტი დაწყებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს ნაკრებმა (ასპარეზობს „ა“ ქვეჯგუფში) პირველი ეტაპის ოთხი შეხვედრა ასეთი შედეგებით დაამთავრა: საქართველო-პოლონეთი — 2:1, საქართველო-ბულგარეთი — 2:1, საქართველო-სსრ კავშირი I — 0:1, საქართველო-უკრაინა — 3:2. ამ ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა ნაკრები. ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ და ახლა მესამე ადგილისათვის შეხვდებიან უზბეკეთის ნაკრებს.

ფლეიულს შემოდგომაზე დაიწყება 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირები. ამ ასპარეზობაში მონაწილე გუნდები დაიყვნენ 8 შერჩევით ჯგუფად, რომლებშიც ისინი ასე განაწილდნენ: **პირველი ჯგუფი.** ესპანეთი, რუმინეთი, ავსტრია, ალბანეთი; **მეორე ჯგუფი.** პორტუგალია, შვეიცია, შვეიცარია, იტალია; **მესამე ჯგუფი.** საფრანგეთი, **სსრ კავშირი,** გდრ, ნორვეგია; **მეოთხე ჯგუფი.** ინგლისი, იუგოსლავია, თურქეთი; **მეხუთე ჯგუფი.** უნგრეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, კვიპროსი; **მეექვსე ჯგუფი.** დანია, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ისლანდია; **მეშვიდე ჯგუფი.** ბელგია, ირლანდია, შოტლანდია; **მერვე ჯგუფი.** გფრ, ბულგარეთი, ლუქსემბურგი, ჰოლანდია.

საბურნირო ორბიტა

ხელგაურთი. შვეიცარიაში დამთავრდა ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. გადამწყვეტ მატჩში იუგოსლავებმა დაამარცხეს უნგრელები (24:22) და მსოფლიო ჩემპიონის წოდებას დაეუფლნენ. მესამე ადგილზე გამოვიდა გდრ-ის ნაკრები, რაც შეეხება სსრ კავშირის ნაკრებს, იგი მეათე ადგილს დასჯერდა.

კალათბურთი. დასასრულს მიუახლოვდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ვაჟთა საკლუბო გუნდებს შორის. ფინალური შეჯიბრების ბოლო ტურის მატჩები მოეწყობა 12 და 13 მარტს. თასის გათამაშების სუპერფინალში თამაშის შანსებს ჯერჯერობით ინარჩუნებენ ზაგრების „ციბონა“, მილანის „ოლიმპია სიმაკი“, მადრიდის „რეალი“ და კაუნასის „ჟალგირისი“. კაუნასელები სუპერფინალური ეტაპის წინ მადრიდში შეხვდებიან ადგილობრივ „რეალს“.

ბადრაკი. სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. გურევიჩმა ჰავანაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში („რადიო რებელდე“) 9 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. ასეთივე აქტიკი ჰქონდა ესპანელ ლ. ფერნანდესს, მაგრამ უპირატესობა გურევიჩს მიენიჭა, ვინაიდან ამ ორი მოჭადრაკის ფრედ დამთავრებულ პარტიაში გურევიჩმა შავი ფიგურებით ითამაშა.

შაში. მინსკში დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატება უძლიერესის წოდებას დაეუფლა ლენინგრადელი ა. დიბმანი. მან 17 შესაძლებლიდან 11 ქულა დააგროვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა არხანგელსკელი ა. ბალიაკინი.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა. კრასნოიარსკში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა საქართველოს წარმომადგენელი **ანდრია თოროსიანი.** ფიგურულ ცეგურაობაში იგი მესამე ადგილზე გამოვიდა, 1000 მეტრზე ცეგურებით რბენაში კი მეოთხე ადგილი დაიკავა თბილისელმა სტუდენტმა **ინგა გილურმა.**

მძლეოსნობა. ტოკიოში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე კანადელმა სპორტსმენმა მარკ მაკომმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 60 მეტრზე თარჯრბენში. დარბაზში მოწყობილ ამ შეჯიბრებაზე მისი ახალი მსოფლიო მიღწევაა 7,47 წამი. მან ტომას მუნკელტის (გდრ) მიერ 1983 წელს დამყარებული რეკორდი 0,01 წამით გააუმჯობესა.

ჩოგბურთი. ბელგრადში გაიმართა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების პირველი წრის მატჩი დევისის თასზე. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გთავაზობთ ამ წრის კიდევ რამდენიმე შეხვედრის შედეგებს: დანია-შვეიცია — 0:5, აშშ-ეკვადორი — 3:2, ინგლისი-ესპანეთი — 4:1, ავსტრალია-ახალი ზელანდია — 4:1, ინდოეთი-ჩეხოსლოვაკია — 1:4.

ძიუდო. პრაღაში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე „განთავისუფლების თასი“ საბჭოთა ათლეტებმა 7 მედალი მოიპოვეს. მათ შორის იყო გორელი ძიუდოისტი გიორგი თენაძე (71 კგ-მდე წონითი კატეგორია). იგი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ეს ხომ „დაგეგმილი“ ზარალია?

როგორ „იყრება ათასები წყალში“

ეს მზაკვრული მოვლენა მრავალნაირად იჩენს ხოლმე თავს: მფლანგველობა ხშირად წარმოგვიდგება აშკარად, შეუნიღბავად. რომელ ჩვენგანს არ უხსოვს, რომ დღისით-მზისით ქუჩაში ანთია ფარნები, ტუალეტებიანად იღვრება წყალი ონკანიდან, წვიმაში იყანგება დაუდგმელი მოწყობილობა... მაგრამ მფლანგველობა უჩინარიც არის ხოლმე. სწორედ ამაზეა ახლა ლაპარაკი.

ახლახან თბილისში, ხახანაშვილისა და საბადურის ქუჩებზე, ელექტროგანათების ძველი ბოძების ნაცვლად 26 ახალი ხის ბოძი დაიდგა. ეს თავისთავად სასიკეთო საქმეა: გაუმჯობესდა გზის სავალი ნაწილის, ტროტუარების განათება, თვალს აღარ ხვდება დროქმისაგან დაბრეცილი ელექტროსაყრდენები. მაგრამ...

— სსრ კავშირის სახმშენის ინსტრუქციების შესაბამისად, — ამბობს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე შ. კონსტანტინოვსკი, — ელექტროსაყრდენებად დადგმული ხის ბოძები სპეციალური ხსნარით უნდა იქნითხებოდეს. ეს ერთიორად ახანგრძლივებს მათი სამსახურის ვადას. გაუყენთავი ბოძი დაახლოებით 6-8 წელიწადში ლპება, სპეციალური ხსნარით დამუშავება კი მისი 15 წლის განმავლობაში ექსპლოატაციის გარანტიას იძლევა.

მაგრამ დასახელებულ ქუჩებზე საყრდენების დადგმისას ხსნარი არ უხმარიათ. იმისათვის, რომ განსაზღვროთ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ოდენობა, მოვიშველიოთ ციფრები. 26 ბოძის დადგმა 6 ათას მანეთამდე ღირს. მათი ხსნარით დამუშავება დაახლოებით 75 მანეთი დაჯდებოდა. ამგვარად, 15 წელიწადში ამ ობიექტზე შესაძლებელი გახდებოდა 6 ათასი მანეთის დაზოგვა.

ოცდაექვს ბოძს ხუთ კუბურ მეტრამდე ხე-ტყე ხმარდება. შარშან კი ქალაქში ელექტროსაყრდენების შესაცვლელად 100 კუბური მეტრი ხე-ტყე იხმარეს, ისე, რომ წინასწარ ხსნარით არ დაუმუშავებიათ. მაშასადამე, 120 ათასზე მეტი მანეთი „გადაიყარა წყალში“.

მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. ბოძები, როგორც ცხობილია, ეგრეთ წოდებულ ნაჯიღებზე მაგრდება. ამ შემთხვევაში საამისოდ სამ-სამი მეტრი სიგრძის ლიანდაგის ნაჭრები გამოიყენეს. არადა, ინსტრუქცია რკინაბეტონის გამოყენების რეკომენდაციას იძლევა. მეტისმეტად გულუხვად ხომ არ ვხარჯავთ ძვირფას ლეგირებულ ფოლადს, მაშინ როცა ყველგან და ყოველთვის ლითონის მომჭირნეობაზე ვლაპარაკობთ?

— ჩვენ მოიჯარეები ვართ. — გვეუბნება თელასის სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი ინეინერი ე. ენუქიძე. — რა მასალასაც გვაძლევენ, იმ მასალას ვიყენებთ. შემკვეთს მოჰკითხეთ...

შემკვეთი თელასი გახლავთ. მისი კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსმა ვ. ბაირამოვმა გარკვეული ვერაფერი გვითხრა, ხან რაღაც სიძნელეები მოიმიზეზა, ხანაც გასაღებისი ავზების უქონლობა, ტექნოლოგიის სირთულე და სხვ.

წლეულს სარემონტო-სამშენებლო კანტორას ქალაქის სხვადასხვა რაიონში ელექტროსაყრდენების შესაცვლელად დაგეგმილი აქვს 500 კუბური მეტრი ხე-ტყის გამოყენება, რაც ხუთჯერ სჯარბობს შარშანდელი წლის მაჩვენებელს. ხომ არ დადგა დრო, რომ თბილისის საქალაქო აღმასკომის კომუნალურმა გაერთიანებამ, რომელსაც თელასი ექვემდებარება, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი საქმეს?

ს. პაპაზიანი.
(საქინფორმის კორ.).

ცხინვალელთა პრემიერა

ცნობილი ესპანელი დრამატურგის ფედერიკო გარსია ლორკას დრამა „ბერნარდა ალბას სახლი“ წარმოადგინა მორიგ პრემიერად ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ოსურმა დასმა.

სპექტაკლი დადგა და მუსიკალურად გაფორმა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორმა მ. ლებანიძემ. მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს რ. ჩოჩიევს.

ბერნარდა ალბას საინტერესო სცენური სახე შექმნა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. გუკაევამ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩუვაშურ ენაზე

ჟ. ჩებოქსარში, ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკის თოჯინების თეატრში დადგა მერაბ ბერაძის პიესა „წითელქუდას ახალი თავგადასავალი“.

წარმოდგენა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ჩუვაშეთის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რესპუბლიკის კომკავშირის პრემიის ლაურეატმა თ. მორევამ. მხატვარია მ. მიხაილოვი. სპექტაკლში როლებს ასრულებენ მსახიობები ა. ამირხანიანი, ა. სტეფანოვა, ს. კოროლიოვა და სხვები. ადგილობრივ პრესაში აღინიშნა სპექტაკლის დიდი წარმატება. მალე ეს პიესა ცალკე წიგნადაც გამოვა ჩუვაშურ ენაზე.

სურათზე: *სცენა ჩებოქსარელთა სპექტაკლისა „წითელქუდას ახალი თავგადასავალი“.*

საქინფორმის ფოტო.

...**ყველას** გიწვევთ დაბის მცხოვრებლების წარმომადგენელთა კრებაზე. დღის წესრიგი: ვამრავლოთ საუკეთესო ტრადიციები, აღვკვეთოთ ყოველგვარი დანაშაული.

ასეთი შინაარსის განცხადებები გამოკრული იყო დაბა კოჯრის უბნებში, მასში შემავალ სოფლებში; კიკეთსა და დიდებაში. კრებისათვის ყველა გულმოდგინედ ემზადებოდა.

რატომ გახდა საჭირო საკითხის ასე მკაცრად დასმა?

შრომელთა ყრილობები, წარმომადგენელთა კრებები დაბის მცხოვრებლებთან მუშაობის ტრადიციული ფორმები გახდა. აქ მათ მაშინ იწვევენ, როდესაც ყველაზე უფრო მწვავე, ამაღელვებელი პრობლემებია განსახილველი. სამწუხაროდ, იდეკ არის ლოთობა, მუქთახორობა, ხულიგნობა. ზოგიერთია ასეთი საქციელი ბოროტების დასაწყისია, რასაც ხშირად უმძიმესი დანაშაული მოსდევს.

რასაკვირველია, ასეთებს აქ ადრეც ებრძოდნენ, დამნაშავეებს გადასცემდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ან აღსაზრდელად — იმ კოლექტივებს, სადაც ისინი მუშაობდნენ, საჯაროდ კიცხავდნენ, მათს სურათებს, „შავ დაფაზეც“ აკრავდნენ, მაგრამ ეფექტი მაინც ნაკლები იყო. ეს იმიტომ, რომ ბრძოლა ბოლომდე შემტევი არ ყოფილა; არ ყოფნიდათ თანამიმდევრულობა მოქმედებაში, ვერ მიანიშეს მას მასობრივი ხასიათი, დამნაშავეთა მიმართ ვერ შექმნეს შეუწყნარებლობის, მკაცრი მომკითხველობის ატმოსფერო.

და აი, ამიტომაც გადაწყვიტეს ამ საკითხზე საფუძვლიანად ემსჯელთან დაბის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებაზე. როგორც იტყვიან, საამკარაოზე გამოიყვანთან ისინი, ვინც აროვეეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ხელს უშლის ადამიანებს იცხოვრონ და ეშრომონ მშვიდად, ნორმალურად, მუდამ ჰქონდეთ ხალისიანი განწყობილება. მომხსენებელმა — სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. გოზალიშვილმა, სიტყვით გამოსულებმა — კოჯრის ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივანმა ლ. დევრისაშვილმა, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ ო. რატიანმა, პედაგოგებმა ლ. ჯოხაძემ, ლ. ბასილაშვილმა, კოჯრის სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარემ ზ. ბუღლიშვილმა, კოჯრის საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მარღიშვილმა და სხვებმა საამკარაოზე გამოიყვანეს სოფლის შემარცხვენლები, ისინი, ვინც საზოგადოების ყველა სიკეთით სარგებლობს, სამაგიეროს კი არას მიაგებს, თავისი არაკეთილსინდისიერი მოქმედებით ხელს უშლის საერთო წინსვლას. ცხადია, ისინი ბევრნი არ არიან, მაგრამ ნათქვამია, ერთი წვეთი კუპრი მთელ კასრ თაფლს აფუჭებსო. მათ შეუძლიათ მოწამლონ ირგვლივ ატმოსფერო.

ორატორებმა წარმოადგინეს მთელი სია, რომელშიც შეტანილია ყველა ლოთი, მუქთახორა, სხვა ანტიპოდი. ზიზღით იხსენიებდნენ ოცდაბუთი წლის გ. სინჯიკაშვილს, რომელმაც ლაფში ამოსვარა ახალგაზრდა ,აცის ღირსება, ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც მკაცრად აგებს პასუხს.

გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თელეთის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილემ ი. ქიათაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის დანაშაული დაბაში იშვიათად როდი ხდება. მაგალითად, 1984 წელს აღრიცხული 9 სისხლის სამართლის დანაშაულიდან, სამი ჯერაც გაუხსნელია. ასევე გაუხსნელია წინა წლებში მომხდარი რამდენიმე დანაშაული. ასეთი გულარხეინობა და შემწყნარებლობა კვლავაც ქმნის ახალი დანაშაულის წარმოქმნის პირობებს.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა დაბის ტერიტორიაზე, მაგრამ ლოთობა ჯერ მაინც არ მოისპო. ზოგი ჯიუტად იშეორებს: დიდი ამბავი, თუ დავლე, ვინ არ სვამს დღეს, ვის რა ეკითხება ჩემი სმა: ზოგიც სიტყვით კი აღიარებს, რომ ცხოვრების წესს შეიცვლის, მაგრამ საქმით ისევ თავისას არ იშლის.

ასეთებს ახლა მკაცრად მოჰკიხეს. განა ეს არ დაიმსახურა ვალიკო აბუაშვილმა? იგი თავისას არ იშლის, დათვრება და აეშლება ჩხუბის საღერღელი. ახლახან მთელი უბედურება დაატრიალა ოჯახში, არ დაინდო მეუღლე. მერე საშველად მისული მეზობლებიც ლანძღა და აგინა. ამგვარი საქციელის გამო მისი ოჯახი დანგრევის პირას არის მისული. ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ლოთობის გამო ვერ დაიმორჩილა ნებისყოფა, სისტემატურად თვრებოდა, სცემდა ცოლსა და შვილებს, ამის გამო მან უკვე მოაშორო ოჯახის დანგრევა. აღნიშნეს აგრეთვე ბახუსის მოტრფიალეებს კაკო ბარამაშვილის, ვალიკო მიკირტუმოვის, მიხეილ სილანტიევის, ალექსანდრე გათენაშვილისა და სხვათა საძრახისი საქციელი, რომლებზეც ჯერაც ვერ გაჭრა რჩევამ, დარიგებამ, ზემოქმედების სხვა საშუალებებმა. ამგვარად ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმ დ ე ბ რძოლის სადაბო კომისია და სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოება საბოლოოდ სწავლობენ ლოთების საქმეს და მათ საკადრისად მიუზღავენ.

— ეყოთ არამზადებს ჩვენს ხარჯზე იოლად გასვლა, — აბუზღუნდნენ კრების მონაწილენი. — გამოდით და ყველას დასანახავად და გასაგონად გვითხარით, აგვიხსენით, რამ მიგიყვანათ ამ ზომამდე, რას აპირებთ მომავალში, როდემდე შეიძლება გითმინონთ?

ამ დროს მათ, გადაჭარბებულად სმის მოყვარულებს, რომლებიც კრების დარბაზში იმყოფებოდნენ, თავები მუხლებში ჩაერგოთ, რადგან თვალს ვერ უსწორებდნენ თავიანთ მეზობლებს. სწორად თქვა კრების ერთ-ერთმა მონაწილემ: კიდევ კარგი, სირცხვილი მაინც შერჩენიათო.

კრებაზე აღინიშნა რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიის დისპანსერის კოჯრის ფილიალში მომხდარი ფაქტი. აქ დისციპლინისა და მომთხოვნელობის შესუსტებას ის მოჰყვა, რომ დათვრა სამკურნალოდ მოყვანილი ავადმყოფი. ეს წერილობით ეცნობა დისპანსერის მთავარ ექიმს შ. ჭკუასელს, რომელიც კარ დაინტერესდა, თუ რა ბორ მოხდა ეს, თავის მართლების მცდარ გზას დაადგა, განაწყენდა და გვარიანად გამოლანძღა ისინი, ვინც ეს ამბავ